ამ წინდებულთა გარდა, ბერძნულში გვაქვს ე. წ. „არასაკუთრივ წინდებულები“, რომლებიც სათანადო ბრუნვის ფორმებს კი უკავშირდებიან, მაგრამ პრევერბთა ფუნქციის შესრულება არ შეუძლიათ. ასეთი წინდებულებია:

1. გენეტივთან:

δύσ = უ-: δύσ τῆς ἐλευθερίας οὐκ ἔστιν ἢ εὐτυχία - თავისუფლების გარეშე არ არსებობს ბედნიერება; δύσ σου - უშენოდ; შენ გარეშე.

δύχρ (μέγχερ) = -მდე, ვიდრე: μέγχερ θανάτῃς - ზღვამდე.

ἐνεκα = გამო, -თვის. ეს წინდებული უპირატესად ე. წ. უკუდებულად, ქართული თანდებულის ფუნქციით იხმარება. τοῦτου ἐνεκα - ამის გამო; - ამისთვის; στεφάνῳ σε σφίας ἐνεκα στεφάνουσι - გვირგვინით გამკობენ შენ სიბრძნისთვის.

μεταξὺ = შორის, შუა: μεταξὺ τούτων γιγισμειος - მათ შორის მყოფი; μεταξὺ τῶν λόγων (პლატ.) - სხვათა შორის.

πλὴν = გარდა: πάντες πλὴν ἡμῶν - ყველა, ჩვენ გარდა.

2. დატივთან:

ἄμα = თანავე (დროის აღსანიშნავად): ἄμα ἦρι ἀρχομένη - გაზაფხულის დადგომისთანავე.

ὅμως = ერთად: ὅμως τοῖς συμμάχοις ἰκῶ - ვიმარჯვებ მოკავშირეებთან ერთად.

ὥς = -კენ (კითხვაზე - საითკენ?): ἔπορεύεται ὥς βασιλέα - მიემართება მეფისაკენ.

ზმნიზედა წინდებულის მნიშვნელობით

ძველ ბერძნულში ზმნიზედათა უძველესი ფორმები -ა ბოლოკიდურით ინარმოებოდა (მაგ. τάχα - სწრაფად...), ხოლო ადგილის ზმნიზედათა ნაწილი ინარმოებოდა -ა ბოლოკიდურით (მაგ., κάτω - ქვევით, ἔγχευερα - მახლობლად...).

ძველ ბერძნულში ზმნიზედის გარკვეული ნაწილი გენეტივის, დატივის ან აკუსატივის გაქვეავებული ფორმაა (მაგ., ὅμως - ერთად, ἰδίᾳ -საკუთრად, ἄγαν - ძალიან...)¹

ზოგიერთი ზმნიზედა გამოყენებულია წინდებულად, მაგალითად, ადგილის ზმნიზედები. წინდებულად გამოყენებული ზმნიზედა მოითხოვს გენეტივს. ეს ზმნიზედებია:

ἀμφιποτέραμεν - ორივე მხრივ;

ἐκτός, ἔξω - გარეთ;

ἐντός, εἰσω - შიგნით; ἔμπροσθεν - წინ;

¹ იხ. გვ. 51.

ἐναντίοι - წინაშე;

ἐγγύς - ახლოს;

ὄπισθεν - უკან;

πέραν - გადაღმა, იქით;

πρόσω - შორს; წინ;

ასევე: χάρις (= ἔνεκα) - გამო, გულისთვის;

χάρις - ცალკე, განცალკევებით;

ἀμέγα - შეუმჩნეველად.

კავშირები

მაერთებელი ანუ მაჯგუფებელი კავშირები (copulativa)

καί, τε - და, აგრეთვე; უარყოფით გამოთქმებში მათ ნაცვლად არის: οὔτε, μήτε. οὐδέ, μηδέ - არც.

მაცალკევებელი კავშირები (disiunctiva)

ἢ - ან; ἢ-ἢ - ან-ან; πότερον - ἢ - ან-ან; εἴτε-εἴτε - ან-ან.

მაპირისპირებელი კავშირები (adversativa)

ἀλλὰ - მაგრამ, არამედ; ἀλλὰ γε - ყოველ შემთხვევაში; ἀλλ' οὐ - მაგრამ არ; οὐ μοίον - ἀλλὰ καί - არა მარტო - არამედ; μέντοι, μήν - თუმცა კი; οὐδέ μήν - თუმცა არ; ὅμως - თუმცა; ἀτάρ - მაგრამ; οὐ μάλλον - ἢ - იმდენად არ - რამდენადაც; καίπερ, καίτοι - მაინც; μέν-δέ - ერთი მხრივ - მეორე მხრივ; αὖ - ასევე.

მაიგივებელი კავშირები (conclusiva)

ἄς - როგორც; ὥσπερ - ვითარცა, ὅπως - როგორც, ὥστε - ასე რომ, ἥντε - ვითარცა, როგორც. ესენი დასკვნის, შედეგის კავშირებადაც იწოდებიან.

დროის: ὅτε, ὅποτε - როდესაც, როცა; ἥνικα, ὅπηνικα - როცა, იმ დროს, როცა; ἥμος - როცა; ἐπεί - როცა; მას შემდეგ, რაც; ἐπειδὴ - მაშინ, როცა; ἕως - სანამ; πρίν - უწინ.

მიზეზის: ὅτι - რომ, იმიტომ რომ; διότι - იმის გამო, რომ; οὖνεκα - ვინაიდან, იმიტომ რომ.

მიზნის: ἵνα - რათა; μή - რათა არ.

პირობის: εἰ - თუ; εἰάν = εἰ ἂν - თუ; ἂν - განა.

დათმობის: εἰ καὶ = εἰάν καὶ - თუკი; καὶ εἰάν = κ' ἂν - და თუ.

დასკვნის: ἄρα = ἄρ - (პოეტ.) ამიტომ, ამგვარად. ახალ იონიურში οὖν - ამგვარად; ცხადია; ამავე მნიშვნელობით იხმარება: ἀλλ' οὖν - უარყოფით გამო-

თქმაში: ὄϊκους – ამგვარად არ; ἴσῃ – ახლა კი; τοῖσιν – ამის გამო, თუმცა; τοῖς γὰρ – და ასე.

ნანილაკები

ძველ ბერძნულში გვექონდა ნანილაკები (სუფიქსები), რომლებიც ადგილის ზმნიზედებს აწარმოებდნენ. -σι, -ι, -σι სუფიქსებით ინარმოებოდა ზმნიზედები, რომლებიც პასუხობდნენ კითხვას: πῶς; (სად?) – οἴκοι (სახლში). უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ზმნიზედაში იმ ბოლოკიდური გრძელია (შდრ. οἴκοι – სახლები, სადაც -οι დიფთონგი პოზიციით მოკლეა).

-δε, -σε, -ζει სუფიქსებით ინარმოებოდა ზმნიზედები, რომლებიც პასუხობდნენ კითხვას – სად? საითკენ? მაგალითად, οἰκᾶν – შინისკენ და ა. შ. -μεν სუფიქსით ინარმოებოდა ზმნიზედები, რომლებიც პასუხობდნენ კითხვაზე საიდან? -πῶθεν; -ἀπὸ τέρραθεν – ორივე მხრიდან, οἰκίμεν – სახლიდან.

ძველი ბერძნული ნანილაკთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ესენია: ἄν, ἄρα, γάρ, ἔν, μὲν და ა. შ. ატიკურში ხშირია შემდეგი ნანილაკების ხმარება, ესენია:

γὲ ხშირად უდრის ქართულ „ც“ ნანილაკს; ზოგჯერ გადმოდის „ხომ“ სიტყვით ὅςτι – ὅτι, ὅς ἄρα, ხომ;

γὼν (γὲ ὄν) – ნამდვილად;

πᾶρ – მეტად;

ὄν – ახლა;

ὄν ποῦ – რა თქმა უნდა;

οὐδὲν – დიახ;

ὅτι – ჭეშმარიტად (ὅτι Δία – ვფიცავ ზევსს).

სიტყვათწარმოება

ახალ სიტყვათა შექმნის ორი გზა არსებობს: ერთია – წარმოქმნა ანუ დერივაცია (derivatio, παραγωγή), მეორე – თხზვა ანუ კომპოზიცია (compositio, σύνθεσις).

დერივაცია ბერძნულში ჩვეულებრივ ზმნის ან სახელის ფუძეზე სუფიქსთა დართვით ხდება. ასეა მიღებული ნაზმნარი სახელები (verbalia), ნასახელარი სახელები და ნასახელარი ზმნები (denominativa).

კომპოზიციის საშუალებით რთული სახელები ინარმოება.

წარმოქმნა (derivatio)

მოქმედი პირის ანუ ხელობის სახელები (nomina agentis). ასეთი სახელები ინარმოება ზმნის ან სახელის ფუძეზე შემდეგ სუფიქსთა დართვით.

-ο (-ος) (მამრ. სქ. oxytona): τριπόδων – მასაზრდოებელი (ზმნიდან τρέφω).

εσ (-εὐς) (მამრ. სქ. oxytona): γράφεις – მწერალი (γράφω). εὐს ბოლოკიდურიან სახელებს ხშირად შეესაბამება მდებრობითი სქესის სახელები -εია ბოლოკიდურით; მახვილი ასეთ სახელებს ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვთ; ἰερεὺς – ქურუმი, მაგრამ: ἱέρεια – ქურუმი ქალი; βασιλεὺς – მეფე, მაგრამ: βασίλεια – დედოფალი.

τηρ (-τήρ) (მამრ. სქ. oxytona): δι-τήρ – მიმცემი, მიმნიჭებელი (ზმნიდან διδᾶμι ვაძლევ).

τορ (-ταρ) (მამრ. სქ.): κτίταρ – დამფუძნებელი (κτίζω ვაფუძნებ); ῥήταρ – ორატორი, მჭევრმეტყველი (ზმნიდან εἶρω ვამბობ).

τρο (-τρος) (მამრ. სქ.) oxytona: ἰα-τρος – ექიმი (ზმნიდან ἰάομαι ვკურნავ).

τα (τής) (მამრ. სქ. ხშირად oxytona): κρι-τή-ς – მსაჯული (ზმნიდან κρίνω განვსჯი); κλέπ-της – ქურდი (ზმნიდან κλέπτω ვიპარავ); მდებრ. სქესის შესაბამისი ბოლოკიდურია – τρια: ποιή-τρια – პოეტი ქალი.

τριδ/τρίς (მდებრ. სქ. oxytona): ἀσλή-τρι-ς – ავლეტი ქალი, ავლეტზე დამკვრელი ქალი.

τιδ (=τις) (მდებრ. სქ.): ἰκ-έ-τις – მავედრებელი ქალი (ზმნიდან ἰκετεύω – ვევედრები).

მოქმედების ან მდგომარეობის სახელები (nomina actionis). მოქმედებისა და მდგომარეობის სახელები ხშირად გამოხატავენ აბსტრაქტულ ცნებებს. ამ ტიპის სახელებს ჰქვიათ აბსტრაქტული სახელები (**nomina abstracta**). ამ სახელთა მანარმოებელი სუფიქსებია:

α (-α, -η) (მდ. სქ.): μάχη – ბრძოლა (μάχομαι – ვიბრძვი); φορά ტარება (φέρω – დამაქვს).

τι (-τις) (მდ. სქ. barytona): φά-τις – დარხელი ხმა (ზმნიდან φημί – ვამბობ).

σι (-σις) (მდ. სქ.): μίμη-σις – მიბაძვა (ზმნიდან μιμῶμαι – ვბაძვ);

ποιή-σι-ς – შემოქმედება, პოეზია (ποιέω – ვქმნი); მί-σι-ς დადება (τί-θη-μι – ვდებ). κρίσις – განაჩენი, მსჯავრი (ზმნიდან κρίνω – განვსჯი). სუფიქსი σι მომდინარეობს τι-საგან; სი ჩვეულებრივ დაისმის ხმოვნის შემდეგ.

ισμος. ἰζω. λισισμός – მსჯელობა (λογίζομαι – ვმსჯელობ).

ασμος. ἔιθσισασμός – აღფრთოვანება (ზნიდან ἔιθσισάζομαι – აღფრთოვანებული ვარ).

μη, γιᾶμη – ცოდნა, აზრი; γιγῆσκα – ვიცი, ვფიქრობ, ვიმეცნებ.

მოქმედების შედეგის სახელები (nomina rei actionis). ასეთ სახელთა სუფიქსებია: -ματ (-μα), -εσ (-ος), -λα, -λο, -ρο.

ποιή-μα – ქმნილება (ზმნიდან ποιέω – ვქმნი).

ἔθισ – ჩვევა (ზმნიდან ἔθιζω – ვაჩვევ).

στῆλη სვეტი (ზმნიდან ἵστανμι), δᾶρον – საჩუქარი (ზმნიდან δίδωμι).

სამოქმედო იარაღის სახელები (nomina instrumenti):

τρο (-τρον) (საშ. სქ.): άροτρον – გუთანნი (άρσν – ეხნავ).

θρο (-θρον) (საშ. სქ.): κλει-θρον – ურდული (κλειώ – ვეკტავ).

მოქმედების ადგილის სახელები (nomina loci):

τρα (-τρα) (მდ.სქ.): όρχή-σ-τρα – საცეკვაო ადგილი (όρχείοι – ვცეკვავ).

τηρ-ιοσ. διασ-τήριος – სამსჯავრო, საპყრობილე (ზმნიდან διακζ – განვსჯი).

ნიშან-თვისების სახელები (nomina qualitatis). ეს სახელები უმეტესწილად აბსტრაქტულ ცნებებს გამოხატავენ. ზედსართავი სახელისაგან მანარმოებელი სუფიქსებია:

τητ (-της) (მდ. სქ.): ιέό-της – ახალგაზრდობა (ιέος – ახალი).

συνα (-συνη) (მდ. სქ.) paroxytona: διακιο-συνη – სამართლიანობა (διακιοσ – სამართლიანი); σάφρο-συνη – კეთილგონიერება (σάφρος – გონიერი).

კნინობით-ალერსობითი სახელები (nomina deminutiva):

-ις (-ιοσ) παιδ-ιο-ι – ბიჭი (παις – ბავშვი, შვილი).

-ιδ-ιο. οικ-იდ-ιο-ι – პატარა სახლი (οικία – სახლი).

σβριος (საშ. სქ. proparoxytona): μέλ-σβριος – პატარა სიმლერა, მელოდია (μέλος – სიმლერა).

-αλλιοσ. είδ-αλλιο-ι – პატარა სურათი, ხატი, იდოლა (είδος – სახე).

-ισκο, ισκα. παιδ-ισκο-σ – ბიჭუნა; παιδ-ισκη – გოგონა.

ჩამომავლობის (წარმომავლობის) სახელები (patronymica): სუფიქსებია: δα (-δης), -ιοσ (-ιασ), -იσ, -აδ.

Πηλε-ი-δης – პელეგის ძე.

Πηλε-ιασ = Πηλείδης – პელეგის ძე.

სადაურობის სახელები (nomina gentilia):

-ιο (-ιοσ) ამ სუფიქსით იწარმოება გაარსებობებული ზედსართავი სახელები: Ἀθηναίος – ათენელი; Θηβαίος – თებელი. ასევე სუფიქსი – (ι)κός (ι)κα). Ἰων-ი-კός (Ἰωνες) – იონიელი. სუფიქსი – σός (-σῆ): Βυζαντι-ι-ოს-ს – ბიზანტიონელი, ბიზანტიელი (Βυζάντιον).

-εσ (-εუს) (მამრ. სქ. oxytona): Αίολεός (Αίολεός) – ეოლიელები, Μεγαρεύς – მეგარელი.

-τα (-τη-ს) (მამრ. სქ. paroxytona): Αίγυπτός – ეგვიპელი (ή Αίγυια); Σικελιά-τη-ს – სიცილიელი (ή Σικελία).

მდედრობითი სქესის სახელთა მანარმოებელი სუფიქსებია: -αδ, -იდ.

Δηλ-ად = Δηλ-ად-ოს – დელოსელი ქალი; Μεγαρίς = Μεγαρ-იდ-ოს – მეგარელი.

ზედსართავ სახელთა მანარმოებელი სუფიქსებია: -ი, -α, (-ოს, -ῆ, -ა, -ი), -ი, -ია, -ετ, -ე, -ეს, -ი, -აკო, -იკო, -ლო, -მო (-მო-ს), -იო (-იო-ს), -პო, -რა (-როს).

λοιπός - დანარჩენი (ზმნიდან λοιπός); ἄγ-ი-ος - ნმიდა; ἀληθ-ής - ჭეშმარიტი; ψευδ-ής - ცრუ; χριστός = χριστός - ოქროსი (χρυσός ὀქρος); βασιλ-ικός - მეფური; δει-λός - მხდალი; θερ-μός - თბილი; διαβόλι-ος - ადამიანური (ἀνθρώπος ადამიანი); ἔχθ-ρός - მტერი, მტრული; λαμπρός - ბრწყინვალე.

ნასახელარ ზმნათა დაბოლოებებია:

- α - τιμά - პატივს ვცემ (τιμή - პატივი).
- εω - ἀριμέα - ვთელი (ἀριμός - რიცხვი).
- οω - ζημιόα - ვსჯი (ζημία - სასჯელი).
- εω - παιδεύα - ვზრდი (παίς - ბავშვი).
- αζ - ἔλθιζα - ბერძნულად ვლაპარაკობ ('Ελλην - ბერძენი).
- ιζ - ἔπιζα - ვიმედოვნებ (ἐπίς - იმედი).
- υω - λαμπύω - ვანათებ (λαμπρός - ბრწყინვალე, ნათელი).

თხზვა (compositio)

თანხმოვანფუძიანი სახელები კომპოზიტის მომდევნო ნაწილს, ჩვეულებრივ, უკავშირდება ო შემაერთებული ხმოვნით: ასევე, ამ ხმოვნის მეშვეობით უერთდება მომდევნო ნაწილს ι და υ ხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეებიც: φασ-ο-λόγος - ბუნებისმეტყველი; ფიზიოლოგი - ἰχθ-ο-φάγος - თევზის მჭამელი.

მოკლე ხმოვანი გრძელდება: ἄγ მომყავს, წინ მივუძღვი; στρατ-ηγός - სარდალი, სტრატეგოსი; ἀγορεύα - ვლაპარაკობ; κατ-ήγορος - ბრალმდებელი.

რთული შედგენილობის არსებითი და ზედსართავი სახელები მნიშვნელობის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფა:

1. **Composita determinativa** (განსაზღვრებითი კომპოზიტები). ასეთ კომპოზიტებში პირველი შემადგენელი ნაწილი განსაზღვრავს მეორეს, რომელიც ძირითადია რთულ სიტყვებში: μέσ-ημέρια (= μέση ἡμέρα) - შუადღე; ἀκρό-πολις - „აკროპოლისი, ციხესიმაგრე“ - (ἄκρο πόλις).

2. **Composita possessiva**. პოსესიურ-კუთვნილებით კომპოზიტში პირველი სიტყვა განსაზღვრავს მეორეს. γλαυκ-ώπις - ნათელთვალა, ბუსთვალეა (ათენა).

3. **Composita obiectiva**. ესენია მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები: στρατ-οπέδον - ბანაკი (στρατός πέδον - ჯარის ადგილი); ἰσθ-μείος - ლეთისნორი (ἴσθμος ἕσθ).

პრეფიქსაცია

რთულ სიტყვაში პირველ შემადგენელ ნაწილად ხშირადაა გამოყენებული წინდებულები და ზმნიზედები.

1. **წინდებულები რთული შემადგენლობის ზმნის წარმოებაში**: ἐκ-λέγω - ვარჩევ (εὐκლეკტიკა); ἀπο-στέλλω - ვგზავნი (აპოსტოლი - მოციქული).

წინდებულებით პრეფიქსაცია, ჩვეულებრივ, ნაზმნარ სახელებს ახასიათებს: ἀντι-θεσις – დაპირისპირება – ანტითეზა (ἀντι-τιθημι); σὺν-ταξις – დაწყობა – სინტაქსი (σὺν-τάσσω); μεταμορφῶσις – გარდაქმნა – მეტამორფოზა; ὑπό-θεσις – ვარაუდი – ჰიპოთეზა და სხვა.

2. ზმნიზედები პრეფიქსებად:

ა) εἶν (კარგად): εἰσέρης – კეთილშობილი.

ბ) πάλιν (კვლავ): παλίνμητος – კვლავ გადაფხეკილი (პალიმფსესტი).

გ) πᾶν (მთლად): Πάν-θειον – ყველა ღმერთის ტაძარი (პანთეონი).

დ) πῶς (მრავლად): πῶς-γλασσις (= πῶς-γλασσις) – მრავალენოვანი (პოლიგლოტი).

ე) ἄγαν (თანხმოვანთა წინ -ν-ის გარეშე იხმარება): ἄγα (მეტად, ფრიად): ἄγα-κλειτός – ფრიად სახელოვანი.

ვ) ὄν (ორგზის): ὄν-γλαსσις – ორენოვანი.

ზ) τρίς (სამგზის): τρίς-πους – სამფეხი.

ე. წ. გამოუყოფელი ნაწილაკები.¹ ეს ისეთი ნაწილაკებია, რომლებიც დამოუკიდებლად არ იხმარება და მხოლოდ რთული სიტყვის სანარმოებლად გამოიყენება:

1. ἄ(ν) – ხმოვანთა წინ, α – თანხმოვანთა წინ. ეს არის ე. წ. alpha privativum: უკუთქმითი (უარყოფითი) აღფა: ἀνάξις – უღირსი, ἄ-θειος – უღმერთო, ἄ-παις უშვილო.

შენიშვნა: იმ სიტყვათა წინ, რომლებიც უძველეს ბერძნულში F. σ. σF ბგერებით იწყებოდა, დაისმის ἄ: ἄ-έκασ (ἄ-F-έκασ) – უხალისო.

უკუთქმითი აღფასაგან უნდა განვასხვაოთ: ა) მაკავშირებელი ἄ – α copulativum: ἄ-παις – ყველა ერთად; ბ) გამაძლიერებელი ἄ – α intensivum: ἄ-βριμος – მეტად ხმაურიანი; გ) კეთილხმოვანების ἄ – α protheticum ანუ α euphonicum: ἄ-στεροπή = στεροπή ელვა.

2. ἦμα – ნახევარი, ἦμι-θის – ცოცხალმკვდარი.

3. მსო გამოხატავს εἶν ზმნიზედის საპირისპირო ცნებას და მიუთითებს უქონლობას: მსο-τυχῆς = ἄ-τυχῆς – უბედური.

4. ἦη უკუთქმითი ნაწილაკი.

5. ὄμο – თანა: ὄμο-γειრῆς – ერთგვაროვანი.

¹ იხ. გვ. 121.

სინტაქსი

ქვემდებარე და შემასმენელი

συντάσσει νῖσιν ἡσ „ვანესრიგებ“, „ნესრიგში მომყავს“. სინტაქსი გრამატიკის ნაწილია და ის ანესრიგებს წინადადებაში სიტყვებს და მთელ წინადადებებს: სწავლობს წინადადების წევრებს, მათ ფუნქციებს, წინადადებათა სახეებს.

ბერძნულ ენაში ქვემდებარე (subiectum) ყოველთვის ნომინატივში დგას. შემასმენელი – ზმნა (praedicatum) შეთანხმებულია ქვემდებარესთან პირსა და რიცხვში. თუ შემასმენელი შედგენილია, მისი სახელადი ნაწილი (nomen praedicati: ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ბრუნებადი რიცხვითი სახელი, მიმღობა) შეთანხმებულია ქვემდებარესთან სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში.

თუ ქვემდებარე საშუალო სქესის სახელია და მრავლობით რიცხვში დგას, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი სრულადაა შეთანხმებული ქვემდებარესთან (სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში), ზმნური ნაწილი კი ჩვეულებრივ მხოლოდით რიცხვში დაისმის: მაგალითად, ἄμα πάντα θνητά ἐστίν – ყველა ცხოველი მოკვდავია.

თუ ქვემდებარე დუალისშია, შემასმენელი შეიძლება ორობით რიცხვშიც დაისვას და მრავლობითშიც: ἄνθρωποι τείνοντες (თემნთ) – ორი სტრატეგოსი დაილუპა.

თუ ქვემდებარე ცოცხალ არსებათა გამომხატველი კრებითი სახელია, მაგალითად: ὁ δῆμος – ხალხი, შემასმენელი ხშირად მრავლობით რიცხვში დაისმის (ესაა ე. წ. აზრობრივი შეთანხმება – constructio κατά συνθεσιν).

თუ ქვემდებარე ნაცვალსახელია, იგი, ჩვეულებრივ, გამოტოვებულია წინადადებაში და დაისმის მხოლოდ მამინ, თუ მასზე ლოგიკური მახვილია: ἔγωγε καὶ σὺ πάντα λέγομεν – მეც და შენც ამას ვამბობთ.

თუ წინადადებაში რამდენიმე ქვემდებარეა, შემასმენელი შეთანხმებულია მასთან ახლოს მდგომთან: στρατῷ γει Ἀριστεὺς καὶ Πολικράτης καὶ Τιμάναρ – სარდლობდა როგორც არისტევისი, ასევე პოლიკრატე და ტიმანორი.

გარემოება (დროისა, ვითარებისა და ადგილისა), რაც ქართულ ენაში ზმნიზედითაა გამოხატული, ბერძნულში ქვემდებარესთან ან დამატებასთან დაკავშირებული ზედსართავი სახელით გადმოიცემა: δευτερίου – მეორე დღეს, ἔσθριος – ადრე, πρῶτος – პირველად, ὑστατος – ბოლოს, შემდგომ, ἔκασ – ხალისით და სხვა.

შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ἐστί(ν) და εἰστί(ν) ხშირადაა გამოტოვებული სენტენციებში, ანდაზებში, უქვემდებარო წინადადებებში: ἔργον δ' οὐδὲν ὄνειδος, ἀργύη δὲ τ' ὄνειδος (Hes.) – შრომა არაა სირცხვილი, არამედ სირცხვილი სიზარმაცეა, უქნარობაა; ἄρα (ἐστί) – დროა.

არტიკლი (ართრონი) და მისი ფუნქციები

არტიკლი ბერძნულში ჩვენებითი ნაცვალსახელისაგან განვითარდა. აკაკი შანიძე თვლის, რომ ძველ ქართულ ენაშიც განსაზღვრული ნაწევრები – ესე, ეგე და იგი – წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელებია.¹

არტიკლი (ბ მამრობითი სქესისა, ო მდედრობითი სქესისა და ო საშუალო სქესისა) თან ახლავს უკვე ცნობილ არსებით სახელს, როგორც მისი განმსაზღვრელი.

ართრონი, არტიკლი, ჩვეულებრივ, დაესმის ისეთ არსებით სახელს, რომელიც გამოხატავს ერთგვაროვან საგანთა ჯგუფს, კლასს: ὁ ἀριθμοὶς θηρῶν ἔσται – ადამიანი მოკვდავია (იგულისხმება ყოველი ადამიანი). ანუ: არტიკლი განსაზღვრავს არსებით სახელს.

ატიკურ პროზაში ხშირია: ὁ μὲν...ὁ δὲ – ერთი – მეორე; οἱ μὲν- οἱ δὲ – ერთნი – მეორენი; τὸ μὲν – τὸ δὲ ან: τὰ μὲν...τὰ δὲ – ერთი მხრივ – მეორე მხრივ – როცა მომდევნო აზრი ეწინააღმდეგება პირველს. τὸν καὶ τὸν – ერთი ან მეორე (ეს ან ის); πρὸ τῶν – უწინარეს, ამის წინ.

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს არტიკლი არ დაესმის: Ἐὐριπίδης ἦν μαθητὴς Ἀρισταγόρου – ევრიპიდე ანაქსაგორას მოწაფე იყო.

საკუთარ სახელს არტიკლი, ართრონი, ხან დაესმის, ხან – არა. გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელებს, როგორც წესი, ყოველთვის დაესმის არტიკლი: ἡ Ἀτική – ატიკა, ἡ Ἑλλάς – ელადა, οἱ Ἀθηναῖοι – ათენელები.

მდინარეთა სახელები იწერება „მდინარის“ აღმნიშვნელ სიტყვასა და მის განმსაზღვრელ არტიკლს შორის: ὁ Κῆρος ποταμὸς – მდინარე მტკვარი.

ადგილისა და დროის აღმნიშვნელ გამოთქმებში არტიკლი, როგორც წესი, არ დაისმის:

ἡμέρας – დღისით

νυκτὸς – ღამით

ἐκ δεξιῶν – მარჯვნიდან

ἐξ ἀριστερῶν – მარცხნიდან

εἰς νῦν – ამ დროისათვის

κατὰ γῆν καὶ κατὰ θάλατταν – ზღვასა და ხმელეთზე

არტიკლი არ დაესმის აკუზატივით წარმოდგენილ გამოთქმებს:

εὐρίως – სიგანით, μῆκος – სიგრძით, ὄσιμα – სახელით და სხვა.

არტიკლის დასმით მეტყველების ყოველი ნაწილი შეიძლება გაარსებითდეს. არტიკლი დაესმის და არსებით სახელად აქცევს: ზედსართავ სახელს, რიცხვით სახელს, ნაცვალსახელს, ზმნიზედას, მიმლეობას, ზმნის უპირო ფორმას, ინფინიტივს, მაგალითად, ზედსართავ სახელთან:

ὁ ἀγαθὸς ἀνὴρ – კარგი ვაჟკაცი

¹ აკ. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ. 1987, გვ. 301; აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1953, გვ. 655.

ὁ ἀνὴρ ὁ ἀγαθὸς – სწორედ რომ (კარგი) ვაჟკაცი
ὁ σοφὸς (sapiens) – მოაზროვნე (გონიერი) კაცი
ἡ δεξιὰ (χεὶρ) dextra (manus) – მარჯვენა ხელი
τὸ ἀγαθὸν (bonum) – (ყოველგვარი) სიკეთე
τὸ κακὸν (malum) – უბედურება, ბოროტება
τὰ πολιτικὰ πράγματα = πράττειν τὰ πολιτικὰ – პოლიტიკის (სახელმწიფო საქმეების) კეთება.

ნაცვალსახელთან:

ὁ ἑμὸς πατήρ ან πατήρ ὁ ἑμὸς ან ὁ πατήρ (ὁ) ἑμοῦ – მამაჩემი

ὁ αὐτὸς ἀνὴρ – იგივე კაცი (თვით ის).

ὁ αὐτὸς ὁ ἀνὴρ = ὁ ἀνὴρ αὐτὸς – ipse vir – თვითონ, თავად (კაცი).

რიცხვით სახელთან:

რაოდენობითი რიცხვითი სახელი დაირთავს არტიკლს და აქვს არსებითის მნიშვნელობა: οἱ τριάκοντα – (ოცდაათთა) ტირანია.

მთელის ნაწილის მნიშვნელობა: τὰ δύο μέρη – ორი მესამედი, მაგრამ δύο μέρη – ორი წილი.

მიახლოებითი ნაწილაკის მნიშვნელობა: εἰς τοὺς δισχυλίους ἀμθράπους ἐξέρχονται – ორი ათასამდე ადამიანი გამოდის.

მიმლეობასთან: ὁ ἀνὴρ ὁ εὐτύχων – ბედნიერი კაცი;

ἐγὼ εἶμι ὁ σῶζων, ὁ σώσας (ὁ σεσῶκῶς), ὁ σώσων ἡμῶν – მე ვარ, ვინც (ახლა) გიხსნით, გიხსნათ უკვე ან მომავალში გიხსნით (გადაგარჩენთ), ე. ი. მე ვარ თქვენი მხსნელი = ὁ σωτήρ ἡμῶν.

παίδεσαι – ის, ვინც ზრდის > ὁ παίδεσας – აღმზრდელი.

არტიკლის დასმით სიტყვა იცვლის მნიშვნელობას:

ἡμέτερος – ჩვენი > τὰ ἡμέτερα – ჩვენი ქონება.

τότε – მაშინ > οἱ τότε – მაშინდელი ადამიანები.

πᾶσι – მრავალნი > οἱ πᾶσι – უმრავლესობა, ხალხმრავლობა.

ἄλλοι – სხვები > οἱ ἄλλοι – დანარჩენნი.

ზოგჯერ არტიკლი არ დაესმის განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე სახელებს: ἀκόρσις – ციხესიმაგრე (ათენისა); ἄστυ – ქალაქი (ე. ი. ათენი).

არტიკლი ჩვეულებრივ არ დაესმის განყენებული ცნებისა (nomina abstracta) და ნათესაობითის აღმნიშვნელ სახელებს: νόσων χάλειπται φθίνοντες – სენთაგან ყველაზე უმძიმესია შური.

ზოგჯერ არტიკლი გამოხატავს სიტყვას, რომელიც იგულისხმება. მაგ: ὁ τὸν Φίλιππον – ფილიპეს ძე; აქ იგულისხმება ὁ ἴσος – შვილი.

მსაზღვრელი სიტყვა (ზედსართავი სახელი, მიმლეობა, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, გენეტივში მდგარი სახელი) დაისმის არტიკლსა და საზღვრულ

სიტყვას შორის: οἱ ἀγαθοὶ ἄνθρωποι – კარგი ადამიანები; ἡ τῶν Περσῶν ἀρχὴ – სპარსთა მმართველობა.

მსაზღვრელი შეიძლება საზღვრულის შემდეგაც დაისვას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არტიკლი განმეორდება: οἱ ἄνθρωποι οἱ ἀγαθοὶ – კარგი ადამიანები; ἡ ἀρχὴ ἡ τῶν Περσῶν – განმგებლობა სპარსთა; ეს ე. წ. ატრიბუტული განსაზღვრებაა. პოსტპოზიციური წყობაა ასევე: ὁ βίος ὁ τῶν γαργῶν = ὁ τῶν γαργῶν βίος – ცხოვრება მიწის მუშებისა (გლეხებისა).

თუ მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელია, საზღვრულ არსებით სახელს ყოველთვის ახლავს არტიკლი. მსაზღვრელი ჩვენებითი ნაცვალსახელი შეიძლება საზღვრულის წინაც დაისვას და მის შემდეგაც: οὐτός ὁ ἀνὴρ ἂν ὁ ἀνὴρ οὐτός – ეს კაცი; ὁ ἀνὴρ φίλος – თვითონ (თავად) იგივე მეგობარი (ატრიბუტული მნიშვნელობა).

ბრუნვათა ფუნქციები

ნომინატივი

ნომინატივი ქვემდებარის ბრუნვაა და ქართულში გადმოდის სუბიექტის ბრუნვებით, ანუ: სახელობითით, მოთხრობითით ან მიცემითით.

ბერძნულში ნომინატივში დგას შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი და, როგორც აღვნიშნეთ, მას არტიკლი არ დაესმის: Κύριος ἐγένετο βασιλεὺς τῶν Περσῶν – კიროსი სპარსთა მეფე გახდა; Ἐρακλῆς ἦν φίλος τῶν γαργῶν – შერაკლე იყო გლეხების (მინათმოქმედთა) მეგობარი.

გენეტივი

ბერძნულ ენაში გენეტივს (ნათესაობით ბრუნვას) სხვადასხვა ფუნქცია აქვს, მაგრამ ძირითადად იგი მსაზღვრელის გამოსახატავად იხმარება – აღნიშნავს კუთვნილებას და უპასუხებს კითხვაზე ვისი? რისი? ესაა ე. წ. **Genetivus possessivus**, რომელიც ქართულში ნათესაობითი ბრუნვით გადმოიცემა: ἡ τῶν Ἑλλήνων χῆρα – ელინთა ქვეყანა; ὁ Περικλέους λόγος – პერიკლეს სიტყვა; ὁ Κύρου στρατὸν – კიროსის ჯარი; ὁ πατὴρ αὐτῶν – მამამისი.

ატიკურში ხშირად გამოიყენება გენეტივუს პოსესიუსი და გენეტივუს სუბიექტივუსი ატრიბუტულ განსაზღვრებად – მეორდება არტიკლი. ὁ λόγος ὁ τοῦ ῥήτορος – ორატორის სიტყვა; ἡ τῶν πατρῶν οἰκία, ან: ἡ οἰκία ἡ τοῦ πατρῶν = τῶν πατρῶν ἡ οἰκία – მამის სახლი (მშობლიური სახლი).

ძველ ბერძნულში ყველაზე უფრო დამახასიათებელია გენეტივის შემდეგი სახეები:

Genetivus subiectivus – სუბიექტის ნათესაობითი: Ἄραξος στρατὸς – ქსერქსეს ჯარი. ამ ნათესაობითით აღნიშნულია ლოგიკური ქვემდებარე: ὁ φόνος τῶν πλεμῶν – შიში მტრებისა, ე. ი. სუბიექტია მტრები, რომელთაც ეწინიათ.

Genetivus obiectivus – ὀბიექტის ნათესაობითი: ἡ ἐπιθυμία δόξης – სურვილი დიდებისა. ამ ნათესაობითი აღნიშნულია დამატება. ὁ φόβος τῶν πολεμίων შეიძლება ნიშნავდეს მტრების შიშს, ე. ო. შიშს, რომელსაც ვილაცა განიცდის მტრების წინაშე. κρατέω τῆς ἀρχῆς (ობიექტ. გენ.) – ვფლობ ძალაუფლებას, ვმართავ. κρατέω ზმნა გენეტივთან = ვფლობ, ვბატონობ, ვმართავ.

Genetivus partitivus – გამოყოფის ნათესაობითი: მთელიდან ნაწილის გამომხატველი, უფრო ხშირად გამოიყენება აღმატებითი ხარისხის ზედსართავ სახელთან, კითხვითსა და განუსაზღვრელ ნაცვალსახელებთან, ზედსართავ სახელებთან: πολλοί მრავალნი, ὀλίγοι – მცირენი; ἕκαστος – თითოეული; რიცხვით სახელთან: εἷς – ერთი; μόνος – მხოლოდ ერთი. იგი არ დაისმის არტიკლსა და არსებით სახელს შორის: ან არტიკლს უსწრებს წინ, ან არსებითი სახელის შემდეგ დგას. მაგალითად, ὁ σοφάτατος τῶν ἀνθρώπων – უბრძენესი ადამიანთაგან = სოკრატე.

Genetivus comparationis – შედარების გენეტივი (=ლათინურის ablativus comparationis). იგი გვხვდება ზედსართავი სახელების ან ზმნიზედების შედარებით ხარისხთან ἢ კავშირის ნაცვლად: ἀναρχίας γε μείζονι οὐκ ἔστιν κακόν – ანარქიაზე უფრო დიდი ბოროტება არ არსებობს (ἀναρχίας = ἢ ἀναρχία).

πολλῶν χρημάτων κρείττωι ὁ παρὰ τοῦ πλήθους ἔπαινος – ბევრ ფულზე უკეთესია ქება ხალხისგან (πολλῶν χρημάτων = ἢ Πολλὰ χρήματα).

Genetivus temporis – დროის ნათესაობითი. ასეთი ნათესაობითი იხმარება დროის აღსანიშნავად: ἡμέρας – დღისით; νυκτός – ღამით; ἡρως – გაზაფხულზე; ἔριους – ზაფხულში; χειμῶνος – ზამთარში.

Genetivus absolutus – Ἄρταξέρξου βασιλεύοντος – როცა არტაქსერქსე მეფობდა (არტაქსერქსეს მეფობის დროს); τοῦ ξείνου εὐχομένους – როცა უცხოელმა სთხოვა (genetivus absolutus); τῆς ἑορτῆς τελευτησάσης – როცა ზეიმი დამთავრდა. აქ გენეტივუს აბსოლუტუსი (დამოუკიდებელი გენეტივი) დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა. ეს შემოკლებული გარემოებითი წინადადება შეიძლება იყოს დროის, მიზეზის, ვითარების, პირობის, დათმობის გამომხატველი.

გვაქვს აგრეთვე გენეტივის შემდეგი სახეები:

Genetivus qualitatis – თვისების, ზომა-წონის გენეტივი. მაგ: ὀδὸς τριῶν ἡμερῶν – სამი დღის გზა; ἀνὴρ μεγάλου φρονήματος – დიდი ჭკუის (გონების) კაცი.

Genetivus pretii – ღირებულების (ფასის) გენეტივი: ἱερὰ τριῶν ταλάντων – სამი ტალანტის ღირებულების საღმრთო (შესანიერი); ὁ δούλος πέντε μῶν τιμᾶται – ეს მონა ფასდება ხუთი მნათი = ღირს ხუთი მნა.

Genetivus causae – მიზეზის გენეტივი: გრძნობის აღმნიშვნელი ზმნები მოითხოვენ ე. წ. გენეტივს კაუზეს: τῆς νίκης χάριν – გამარჯვების გამო (მიზეზით) ვხარობ (ვტკებები); θαυμάζομεν Σακράτην τῆς σοφίας – გვაოცებს სოკრატე სიბრძნის გამო.

Genetivus materiae – მასალის გენეტივი τείχος λίθου – ქვის კედელი.

Genetivus inopiae – ნაკლებობის გენეტივი: δεῖσθαι τινός – ვსაჭიროებ რაღაცას, მჭირდება.

Genetivus generis – წარმოშობის, შედგენილობის გენეტივი – πλῆθι σίτου – ხორბლის გემები (ხორბლით [დატვირთული] გემები). πρὸς τῶν Ἑλλήσων δέχεται – ელინთაგან მიღება.

დატივი

ბერძნული დატივი ქართულში გადმოიცემა საკუთრივ მიცემითი ბრუნვით, თვის თანდებულობის სახელით, ე. ი. ნათესაობითი ბრუნვით და მოქმედებითი ბრუნვით. დატივი ბერძნულ ენაში უფრო მეტად ირიბი დამატების გამო-სახატავად იხმარება. გარდა ამისა, მიცემითს აქვს სხვა ფუნქციებიც, ესენია:

Dativus commodi ან incommodi. ამ მიცემითით აღნიშნება საგანი, რომლის სასარგებლოდ ან საზიანოდ ხდება მოქმედება: γέγειρήμεθα τῆ πατρίδι – [ჩვენ] დავიბადეთ სამშობლოსათვის; ὁ πῖλεμος τοῖς ἀιθράποις πείναι φέρει – ომს ადამიანებისათვის სიღარიბე მოაქვს.

Dativus possessivus – კუთვნილების, დანიშნულების მიცემითი. ეს მიცემითი აღნიშნავს პირს, რომელსაც რაიმე განეკუთვნება. გამოიყენება ზმნებთან: εἶναι, γίγνεται. მაგალითად, ἦσαν Κροίσω δῖοι πάντες – კროისოსს ორი შვილი ჰყავდა (სიტყვასიტყვით: კროისოსისათვის ორი შვილი იყო).

Dativus instrumenti – იარაღის, საშუალების მიცემითი (ინსტრუმენტალისი). ამ მიცემითით აღნიშნება საგანი, რომლითაც რაიმე ხდება. პროტობერძნულს ჰქონდა ინსტრუმენტალისი -φί(ν) დაბოლოებით. მისი ფუნქციები შემდეგ dativus instrumenti-მ დაიკავა. თვითონ დატივის ფუნქციები ძველ ბერძნულშივე სუსტდება და თავისი პოზიციების გასამყარებლად აქტიურად იყენებს წინდებულებს. დატივმა ახ. წ. VII-VIII საუკუნეებამდე შეინარჩუნა ბრუნვის ფუნქცია. ბერძნ. dativus instrumenti = ლათ. ablativus instrumenti-ს. იგი იხმარება გრძნობის გამომხატველ ზმნებთან, როგორცაა: χαίρειν, λυπείσθαι, αἰσχύνεσθαι და ა. შ. ქართულში გადმოდის მოქმედებითი ბრუნვით: δὸλα καθαίρειν – მოხერხებით განმენდა; τρέφεται ψυχῆ μαθήμασι – სული მეცნიერე-ბებით იკვებება (Plat.); ὁμᾶμεν τοῖς ὀφθαλμοῖς – ვხედავთ თვალებით.

Dativus causae – მიზეზის მიცემითი. იგი აღნიშნავს მიზეზს: ἐτελεύτησε νόσῳ – მოკვდა ავადმყოფობით (ავადმყოფობის გამო).

Dativus relationis – მიმართების მიცემითი. აღნიშნავს საგანს, რომლითაც განისაზღვრება მოქმედება ან მდგომარეობა: φίσει – ბუნებით; γέμει წარმომავე-ლობით; ὀσμάτι – სახელით და ა. შ.

Dativus temporis – დროის მიცემითი. უპასუხებს კითხვაზე „როდის?“ τῆ τρίτῃ ἡμέρᾳ – მესამე დღეს.

გვაქვს ე. წ. **Dativus sociativus** – ურთიერთობის დატივი ზმნებთან: μάχομαι, διαλέγομαι და ა. შ. διαλέγεσθαι τῷ ξένῳ – უცხოელთან საუბარი.

Dativus ethicus – ეთიკის მიცემითი: καὶ μοὶ μὴ θυσθήσετε – ჩემ გამო ნუ ახმაურდებით.

აკუზატივი

აკუზატივი ანუ ბრალდებითი ბერძნულ ენაში, ისევე როგორც სხვა ინდო-ევროპულ ენებში, არის პირდაპირი დამატების ბრუნვა. ქართულად გადმოიცემა სახელობითით ან მიცემითი ბრუნვით, ვინაიდან ეს ორი ბრუნვა პირდაპირი დამატების ბრუნვაა ქართულში.

თუ აქტიურ კონსტრუქციას პასივში გადავიყვანთ, პირდაპირი დამატება ნომინატივში გადავა და ქვემდებარედ იქცევა; აქტიური კონსტრუქციის ქვემდებარე კი თუ სულიერ საგანს აღნიშნავს, გენეტივში დადგება წინდებულთით *ἄπό*, ხოლო თუ უსულო საგანს გამოხატავს, დატივში დადგება უწინდებულად (**Dativus instrumenti**): მაგალითად, *οἱ φίλοι χαιρίζονται τῇ διαβολῇ* – მეგობრები ცილისწამების გამო შორდებიან.

Accusativus duplex ორმაგი აკუზატივი გამოიყენება იმ ზმნებთან, რომელთაც აქვთ მნიშვნელობები: – ვუნოდებ (*λέγω, καλέω, ὀνομάζω*); ვთვლი, მივიჩნევ (*νομίζω, ἠγέομαι, κρίνω*); ვნიშნავ, წარვადგენ, ვქმნი (*ποιέω, καθίστημι, ἀποδείκνυμι*); ვირჩევ (*αἰρέομαι*).

ამ ორი აკუზატივიდან – ერთია პირდაპირი დამატების, მეორე – შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის. მაგ: *νομίζω σε ἔσθλόν* – ღირსეულად მიმაჩნისხარ, გიწოდებ ღირსეულს. *νομίζω Κῆρον φίλον* – კიროსს მეგობრად ვთვლი.

თუ ამ წინადადებაში აქტიურ კონსტრუქციას ვნებთში გადავიყვანთ, ორივე აკუზატივი დადგება ნომინატივში და მივიღებთ იმ კონსტრუქციას, რომელსაც ეწოდება **Nominativus duplex** – ორმაგი სახელობითი. *Κῆρος νομίζεται φίλος* – კიროსი მეგობრად ითვლება.

Accusativus relationis – მიმართების აკუზატივი. ასეთ აკუზატივში უფრო ხშირად იხმარება სიტყვები: *τὸ γένος* – წარმოშობით; *τὸ ὄνομα* – სახელად; *τὸν ἀρισμόν* – რიცხვით; *τῆς φύσεως* – ბუნებით.

Accusativus temporis – დროის აკუზატივი გამოხატავს დროის ხანგრძლივობას: *ἔσταυθη Κῆρος ἔμεινεν ἡμέρας ἑπτά* კიროსი იქ დარჩა ხუთი დღე; *μακρὸν χρόνον ἦν δούλος* – დიდხანს იყო მონა.

ძველ ბერძნულში ვოკატივი (წოდებითი), იგივე *κλητικὴ* უკვე კონიეში კარგავს ბრუნვის ფუნქციას. წოდებითი ბრუნვა, რომელიც *ᾶ* არტიკლით გამოიყენებოდა, ადგილს უთმობს ნომინატივს, ანუ ხდება ნომინატივით მისი ჩანაცვლება. თვითონ *ὁ* *θεός* ღმერთი კლასიკური ბერძნულის ვოკატივში ნომინატივის ფორმით გვხვდება: *ᾶ* *θεός* – ღმერთო, ხოლო *ᾶ* *θεέ* – უკვე ახალი აღთქმის წიგნებში დასტურდება.

ადგილობითი ბრუნვის, ლოკატივის (**locativus**) ფორმა ზმნისართის სახით შემოინახეს II კანკლედობის სიტყვებმა: *ὁ οἶκος* – სახლი – *οἶκοι* – სახლში; *ὁ ἴσθμός* – ისთმოსი – *ἴσθμῳ* ისთმოსზე.

პროტობერძნულში დასტურდება აბლატივი. მისი კვალი შემორჩენილია დელფოს ერთ-ერთ წარწერაში: *Ἰσίκω* – „სახლიდან“.

სიტყვების განლაგება წინადადებაში

ბერძნულში ხშირად დაცულია სიტყვათა შემდეგი გრამატიკული რიგი: ქვემდებარე – დამატება – შემასმენელი; შემასმენელი შეიძლება სხვა ადგილზეც დაისვას: αὶ Ἄθῆναι ἀγορὰν εἶχον – ათენს მოედანი ჰქონდა და ასევე: αὶ Ἄθῆναι εἶχον ἀγορὰν – ათენს ჰქონდა მოედანი.

მსაზღვრელი დაისმის არტიკლსა და არსებით სახელს შორის. მსაზღვრელი შეიძლება დაისვას არსებითი სახელის შემდეგაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში არტიკლი განმეორდება: ἡ Ἑλλητικὴ θεὰ = ἡ θεὰ ἡ Ἑλλητικὴ – ბერძენი ქალღმერთი.

ატიკურ პროზაში გარემოების აღმნიშვნელ სიტყვებს შეუძლიათ წინადადებაში სხვადასხვა ადგილი დაიკავონ.

ბერძნულ ენაში გვხვდება აგრეთვე სიტყვათა განლაგების რიტორიკული ხერხები. ერთ-ერთია ე. წ. **ხიასმოსი** (χιασμός) – ერთგვაროვან წევრთა ჯვარედინი განლაგება წინადადებაში. ამ რიტორიკული ხერხის სახელწოდება χιασμός ἧ-ასოს სახელიდან მომდინარეობს.

დრო-კილოთა საკითხი წინადადებაში

ბერძნულ ენაში ოთხი კილოა (modus) – თხრობითი (indicativus), კავშირებითი (coniunctivus), ნატვრითი (optativus), ბრძანებითი (imperativus).

თხრობითი კილო იხმარება რეალური ფაქტის დადასტურებისათვის. თუ წინადადება უარყოფითია, იგი გამოიხატება უარყოფითი ნაწილაკით – οὐ, οὐκ, οὐχ – არ.

თხრ. კილოს (ინდიკატივის) პრეზენსი ისტორიულ ამბავთა გადმოცემის დროს ხშირად იხმარება წარსულის, აორისტის მნიშვნელობით. ასეთ პრეზენსს ეწოდება ისტორიული პრეზენსი – **Praesens historicum**: Δαρείου καὶ Περσέτιδος γίγισται παῖδες δύο (Xen. Anab. I, 1, 1) – დარიოსსა და პარსისატისს ჰყავდათ ორი ძე.

ბრძანებითი კილო (იმპერატივი) გამოხატავს ბრძანებას ან აკრძალვას. აკრძალვა გამოხატულია ნაწილაკით μή – ნუ; μή κρίετε – ნუ განსჯით.

კავშირებითი კილო (კონიუნქტივი) მთავარ წინადადებაში გამოხატავს: ეჭვს (dubitativus), მოწოდებას (hortativus), აკრძალვას (prohibitivus). უარყოფა μὴ-თი გამოიხატება. კავშირებით კილოსთან ἔαν და ὅταν კავშირები მომავალ მოქმედებას გვიჩვენებენ, მაგალითად: ἔαν (ὅταν)... βλέψαμεν, θυσάσθαι – როცა დავინახავთ, გავოცდებით.

ἔαν (ὅταν) კავშირებით კილოსთან მოქმედების მრავალგზისობასაც გამოხატავენ. მაგალითად, ἔαν (ὅταν)...ἀκούσαμεν, αἰεὶ τερπόμεθα – როცა ვისმენთ, მუდამ ვხარობთ ხოლმე.

ნატვრითი კილო (ოპტატივი) გამოხატავს სურვილს. უარყოფა აქაც μὴ-თია გამოხატული. ნატვრით კილოს ზოგჯერ თან ახლავს ნაწილაკები: εἰ γάρ, εἰθε – ნეტავ, ნეტამც. ოპტატივთან უფრო ხშირია შესაძლებლობის ნაწილაკი ἂν

(**modus potentialis**): ἰσμίχοι (ἰσμίχοι) τις ἄν - შესაძლოა ვინმემ იფიქროს (ოპტატივი, პრეზენსი ან აორისტი ἄν ნაწილაკთან). ἄν - ოპტატივთან = შესაძლოა, ალბათ. τίς ἄν πάλιν ἀρέσχοι ἄνεις ἰσμάω - ალბათ, ვინმესთვის მოსაწონია სახელმწიფო კანონთა გარეშე.

ბერძნულში გვაქვს ე. წ. მთავარი დროები (ანმყო = praesens, ნამყო სრული წყვეტილი = perfectum, მყოფადი = futurum) და ისტორიული დროები (ნამყო უსრული = imperfectum, აორისტი, წარსული დამთავრებული = aoristus, ნამყო წინარეწარსული = plusquamperfectum).

თუ მთავარ წინადადებაში რომელიმე მთავარი დროა, დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება კავშირებითი კილო (coniunctivus); თუ მთავარ წინადადებაში ისტორიული დროა, მაშინ დამოკიდებულ წინადადებაში იქნება ნატვრითი კილო (optativus). ეს არის ე. წ. კილოთა თანამიმდევრობა - consecutio modorum. მაგრამ გვაქვს გამონაკლისებიც: კილოთა თანამიმდევრობა დაცულია მხოლოდ მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში და იმ დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში, რომელშიც არის ე. წ. შიშის აღმნიშვნელი ზმნები (verba timendi).

ინფინიტივი წინადადებაში

ზმნის განუსაზღვრელი ფორმა ანუ განუსაზღვრელი კილო (modus infinitivus) თავისი პირველადი მნიშვნელობით ნაზმნარი არსებითი სახელია. ამავე დროს, მას აქვს ზმნის ძირითადი ნიშნებიც (თვისებები): დროის გაგება, გვარის გაგება; დამატებას შეითანხმებს იმავე ბრუნვაში, რომელშიც შეითანხმებდა პირიანი ზმნა.

როგორც არსებით სახელს, ინფინიტივს შეიძლება ჰქონდეს საშუალო სქესის მაჩვენებელი არტიკლი τὸ. გაარსებითებული ანუ არტიკლიანი ინფინიტივი შეიძლება იყოს მხოლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში (ბრუნვის დროს ფორმას იცვლის მხოლოდ არტიკლი). მაგალითად, ინფინიტივია παῖδεῖν - აღზრდა, გაარსებითებული სახელია τὸ παῖδεῖν - აღზრდა, გენტივშია τοῦ παιδεῖν და ა. შ.; ამ გზით გაარსებითებული ინფინიტივი წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება. არსებით სახელად ხშირ შემთხვევაში გამოიყენება infinitivus praesentis და infinitivus aoristi (იშვიათად - infinitivus perfecti, მაგრამ არასოდეს - infinitivus futuri).

ქვემდებარის როლში ინფინიტივი გაგებულია როგორც საშუალო სქესის არსებითი სახელი მხოლობითი რიცხვის ნომინატივში: τί χρῆθ' οἰεῖν; - რისი გაკეთებაა საჭირო? χρῆθ' οἰεῖν - საჭიროა სწავლა.

დამატების როლში ინფინიტივი იხმარება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნასთან: οὐκ ἐπίσταται (τὸν) ζῆν - (მან) არ იცის ცხოვრება.

ერთი და იგივე ქვემდებარე შემასმენელთან და ინფინიტივთან: οἱ ἰσχυροὶ ἐνδύσονται ἐσπίδα - იონიელები მიიჩნევდნენ, რომ იქნებოდნენ ბედნიერები. ხშირია ინფინიტივური კონსტრუქცია და ასევე, კონსტრუქცია აკუსატივი ინფინიტივთან თხოვნისა და ბრძანების შინაარსის მქონე ზმნებთან, მაგა-

ლითად: ἦξισθαι ἰόμενος συγγραφέσθαι – [სოლონს] სთხოვდნენ, რომ კანონები დაენერა.

დამოუკიდებელ წინადადებაში ინფინიტივი, ჩვეულებრივ, არტიკლის გარეშე იხმარება: ἄς ἔμοι δοκεῖν – როგორც მიმაჩნია, როგორც ვფიქრობ; ἄς εἶπεν – ასე ვთქვათ. ესაა ე. წ. – infinitivus absolutus – დამოუკიდებელი ინფინიტივი.

ზოგჯერ ინფინიტივით გადმოცემულია მიზანი (infinitivus finalis): οἱ Ἕλληες εἶλοντο Ξεινοφῶντα διάγειν αὐτοῖς εἰς τὴν Ἑλλάδα – ბერძნებმა ქსენოფონტი აირჩიეს საბერძნეთში მათ წასაყვანად (რათა ისინი საბერძნეთში წაეყვანა).

ინფინიტივი ზედსართავ სახელთან აღნიშნავს, თუ რა მიმართებაშია საგანი ან პირი ზედსართავი სახელით გამოხატულ ვითარებასთან. ესაა ე. წ. infinitivus relationis: Περιελθὺς δεισότατος ἦν λέγειν – პერიკლე უძლიერესი იყო საუბარში.

სინტაქსური კონსტრუქციები

Accusativus cum infinitivo

Accusativus cum infinitivo (აკუზატივი ინფინიტივთან) ბერძნულისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციაა, რომელსაც გავრცობილი პირდაპირი დამატების გაგება აქვს. ფიქრის აღმნიშვნელ ზმნებთან დასახელებულია პირი (საგანი) და მისი მოქმედება (მდგომარეობა): პირველი ლოგიკური ქვემდებარეა და დასმულია აკუზატივში, ხოლო მეორე – ლოგიკური შემასმენელი ინფინიტივში დგას. მაგალითად: Σακράτης ἦγεῖτο θεοὺς πάντα εἰδέναι – სოკრატე თვლიდა, რომ ღმერთებმა ყველაფერი იციან.

ამ წინადადებაში ქვემდებარეა „სოკრატე“ – Σακράτης, შემასმენელი – ἦγεῖτο – თვლიდა, ხოლო დანარჩენი სიტყვებით გამოთქმულია ის, თუ რას თვლიდა სოკრატე, ე. ი. გამოთქმა θεοὺς πάντα εἰδέναι – რომ ღმერთებმა ყველაფერი იციან, – მთლიანად არის დამატება ზმნისათვის ἦγεῖτο – თვლიდა. ამ წინადადებაში შემასმენელი გამოხატულია ინფინიტივით (εἰδέναι), რომელსაც თავისი დამატება აქვს (πάντα), ხოლო ქვემდებარე დასმულია აკუზატივში (θεοὺς). ე. ი. ქვემდებარე აკუზატივშია, ხოლო შემასმენელი – ინფინიტივში.

Accusativus cum infinitivo ქართულად გადმოდის დამატებითი დამოკიდებული წინადადებით, რომელსაც მთავარ წინადადებას „რომ“ კავშირით უკავშირდება. ინფინიტივში დასმული შემასმენელი პირიანი ფორმით გადმოვა. წინადადებაში Σακράτης ἦγεῖτο θεοὺς πάντα εἰδέναι – მთავარია Σακράτης ἦγεῖτο – სოკრატე თვლიდა, ხოლო θεοὺς πάντα εἰδέναι – რომ ღმერთებმა იციან – დამოკიდებული.

Accusativus cum infinitivo როგორც დამატება, იხმარება ისეთი ზმნების შემდეგ, რომლებიც აღნიშნავენ:

1. ფიქრს (verba putandi): ἦγείσθαι, ἰομίζω, οἶσθαι, ἐλπίζω – ვფიქრობ, ვიმედოვნებ, ვთვლი, მიმაჩნია, ვიმედოვნებ.

ἐλπίζω ἡμᾶς μοι πιστεῦσαι – იმედი მაქვს, მენდობით (ვიმედოვნებ, რომ თქვენ მე მენდობით); νομίζουσιν αὐτὸν εἶναι θεομωρογόν τῶν ἀνθρώπων – მიაჩნიათ, რომ იგი ადამიანთა დემიურგია.

2. სურვილს (verba voluntatis): βούλομαι – მსურს, მინდა; κελείν – ვუბრძანებ, მოვუწოდებ;

ἔα – ნებას ვრთავ, მოვუწოდებ; ἔθλει ἀμύνειν τὸν θάνατον – სურს, რომ დაიცვას სიკვდილისაგან.

3. თქმას (verba dicendi): λέγω, φημί – ვამბობ; ἀγγέλλω – ვაუწყებ;

λέγουσιν αὐτὸν εἶναι θεομωρογόν – ამბობენ, რომ იგი დემიურგია.

აკუზატივი ინფინიტივთან იხმარება აგრეთვე უპირო ზმნებთან: χρῆ, δεῖ – საჭიროა, უნდა.

გამოთქმებთან: καλόν ἐστι – კარგია; δίκαιόν ἐστι – სამართლიანია; δεινόν ἐστι – საშიშია; ἄρα (ἐστι) – დროა და ა. შ.

როდესაც სინტაქსურ კონსტრუქციაში – აკუზატივი ინფინიტივთან – ქვემდებარე იგვევა, რაც მთავარ წინადადებაში, რომლის შემასმენელი ფიქრსა და თქმას გამოხატავს, ინფინიტივთან ქვემდებარე აღარაა გამოხატული. ასეთ კონსტრუქციას *ინფინიტივეური კონსტრუქცია* ეწოდება.

აკუზატივი ინფინიტივთან:

Πρωταγόρας φησί, πάντων χρημάτων μέτρον ἀνθρώπων εἶναι. – პროტაგორა ამბობს, რომ ყველა საგანთა საზომი ადამიანია;

Ἄριστοτέλης τῆς παιδείας ἔφη τὰς μὲν ῥίζας εἶναι πικράς, γλυκεῖς δὲ τοὺς καρπούς. – არისტოტელე ამბობდა, რომ სწავლის ძირი მწარეა, ნაყოფი კი – ტკბილი;

καλόν ἐστι τὸν ἀνθρώπον ἀληθῶς λέγειν – კარგია, რომ ადამიანმა სიმართლე ილაპარაკოს.

ინფინიტივეური კონსტრუქცია:

Ἄλξανδρος ἔφασκε Διὸς υἱὸς εἶναι – ალექსანდრე [მაკედონელი] ამბობდა, რომ [იგი] ზევსის შვილია.

οἱ ναῦται λέγουσι τοῖς ἡγεμόσι πιστεῦσαι – მეზღვაურები ამბობენ, რომ [ისინი] წინამძღოლებს ენდობიან.

Nominativus cum infinitivo

Nominativus cum infinitivo (სახელობითი ინფინიტივთან) არის დამატებითი დამოკიდებული წინადადება, რომლის ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში (ნომინატივში) დგას, შემასმენელი კი – ინფინიტივში. ეს სინტაქსური კონსტრუქცია იხმარება *ფიქრისა* და *თქმის* აღმნიშვნელ ზმნებთან და ეს ზმნები ვნებით გვარშია.

ყველაზე ხშირად Nominativus cum infinitivo გვხვდება ზმნებთან: λέγομαι – ჩემზე ამბობენ და δοκέω – მიმაჩნია. ამ ზმნას ამ კონსტრუქციაში ექნება მნიშვნელობა ჩანს. ზმნა λέγομαι-ს ქართულად გადმოტანისას შემასმენელი დაისმის

აქტივის მრავლობითი რიცხვის III პირში, რომელსაც ქვემდებარე არ ექნება; შემდეგ იქნება „რომ“ კავშირით დაწყებული დამატებითი დამოკიდებული წინადადება, რომლის შემასმენელი გამოიხატება ზმნის პირიანი ფორმით.

მაგ.: ὁ στρατηγὸς δὸκεῖν ἰκῆσαι – ჩანს, რომ სარდალმა გაიმარჯვა;
ἡ ἀρχὴ λέγεται ἦμισυ εἶναι παντός – ამბობენ, რომ დასაწყისი ნახევარია ყველაფრისა.

მიმლეობის (პარტიციპიუმის) გამოყენება

მიმლეობა არის ნაზმნარი ზედსართავი სახელი, რომელსაც მოუპოვება დროისა და გვარის ფორმები და შეუძლია პირიანი ზმნის მსგავსად შეითანხმოს დამატება.

ბერძნულში განსაკუთრებით ხშირია ე. წ. „დაკავშირებული მიმლეობა“ (participium coniunctum), რომელიც იხმარება როგორც არსებითი სახელის მსაზღვრელი და როგორც შემოკლებული გარემოებითი წინადადება:

οἱ τῆν Ἀσίαν κατοικοῦντες Ἕλληες – აზიაში მცხოვრები ელინები (ელინები, რომლებიც აზიაში ცხოვრობენ).

ატრიბუტული პარტიციპიუმი არტიკლის დართვით შეიძლება არსებით სახელად იქცეს: ὁ βουλόμειος (= ὅς βουλέται) – მსურველი.

როგორც შემოკლებული გარემოებითი წინადადება, participium coniunctum გვიჩვენებს: დროს (participium temporale), მიზეზს (participium causale), მიზანს (participium finale). მაგ: Κύρος. ὅτε παῖς ἄν, ἄνευ φόβου διελέγετο τῷ πάππῳ – კიროსი, როცა ბავშვი იყო, უშიშრად ელაპარაკებოდა პაპას.

მყოფადის „დაკავშირებული მიმლეობა“

Participium futuri coniunctum – ეს მიმლეობა იხმარება მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან და აღნიშნავს მოძრაობის მიზანს. ამგვარად, იგი ენაცვლება ἵνα. ὅπως კავშირებით დაწყებულ მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას. მაგ.: Ξενοφῶν τὰς στρατὰς ἔπειμα διὰβιάσοντας τοὺς ὀπίστας – ქსენოფონტმა ჯარი გაგზავნა, რათა ჰოპლიტები გადაეყვანათ ანუ ქსენოფონტმა ჯარი ჰოპლიტების გადასაყვანად გაგზავნა.

Genetivus absolutus

Genetivus absolutus ანუ დამოუკიდებელი გენეტივი არის შემოკლებული გარემოებითი წინადადება (დროის, მიზეზის, ვითარების, პირობითი, დათმობითი), რომელშიც ქვემდებარე გენეტივშია, ხოლო შემასმენელი მიმლეობის ფორმითაა წარმოდგენილი და შეთანხმებულია ქვემდებარესთან ბრუნვაში, რიცხვსა და სქესში.

Genetivus absolutus იხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც მიმლეობა არ არის დაკავშირებული შემასმენლის ქვემდებარესა და დამატებასთან.

როდესაც ზმნებით გამოხატული მოქმედება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებში თანადროულია, დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება ანმყოფ დროის მიმლეობა, ხოლო თუ დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული

მოქმედება წინ უსწრებს მთავარი წინადადებისას, დამოკიდებულ წინადადებაში იქნება ნამყო დროის მიმღეობა.

Genetivus absolutus-ის ქართულად გადმოტანისას საჭიროა: 1. აღვადგინოთ გარემოებითი დამოკიდებული წინადადების კავშირი (როდესაც, რადგან, თუ, თუმცა...); 2. გენეტივში დასმული სახელი გამოვიყენოთ ქვემდებარედ; 3. მიმღეობის ფორმით წარმოდგენილი შემასმენელი გადმოვიტანოთ ზმნის პირიანი ფორმით.

მაგალითები:

Τῆς ἑορτῆς τελευτήσας

როდესაც ზეიმი დამთავრდა (აქ დამოუკიდებელი გენეტივი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა).

Θεοὶ δυνάστωσιν ὅσους ἰσχύει φθίνωσιν, καὶ μὴ δυνάστωσιν ὅσους ἰσχύει πάσωσιν

როდესაც ღმერთი წყალობას იძლევა, შური უძღურია, თუ არ იძლევა, შრომა უძღურია.

ἀνδρὸς κακῶσ πρᾶττοντοσ. ἔκποδῶσ φἰλοι.

როცა კაცი ცუდადაა, მეგობრები იფანტებიან (შორდებიან).

ὁ ἦδῆσ τὸ ζῆλοσ, μὴ φθοισίνωσιν μῆδεῖσ.

რა კარგია ცხოვრება (სიცოცხლე), როცა არავის შურს შენი.

ἔμοσ θαισίωσιν, γαῖα μᾶθῆτασ παρῖ.

როცა მოვეცდები, დედამინა შეერიოს ცეცხლს.

დამოკიდებულ წინადადებათა სახეები

დამატებითი დამოკიდებული წინადადება. დამატებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: ὅτι, ὡσ (რომ) და დამოკიდებულია ზმნებზე, რომლებიც გამოხატავენ **გრძნობას** (verba sentiendi), **თქმას** (verba dicendi), **სულიერ განცდებს** (verba affectum).

თუ მთავარ წინადადებაში რომელიმე მთავარი დროა, ანუ ანმყო, მომავალი ან პერფექტი, დამატებითი ინდიკატივი – თხრობითი კილო იხმარება, ხოლო თუ მთავარში რომელიმე ისტორიული დროა, მაშინ დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი ნატვრითი კილოთი – ოპტატივით იქნება გამოხატული.

გვაქვს გამოწაკლისებიც: თუ დამოკიდებულ წინადადებაში ვარაუდი ან ეჭვია გამოთქმული, მისი შემასმენელი მხოლოდ ოპტატივში იქნება;

შიშის აღმნიშვნელ ზმნებთან იხმარება უარყოფითი კავშირები μὴ და μή ὅσ. ამათგან μὴ არასასურველ მოქმედებას გამოხატავს, ხოლო μή ὅσ – სასურველს.

თუ მთავარ წინადადებაში რომელიმე მთავარი დროა, დამოკიდებულში კავშირებითი კილო – კონიუნქტივია, ხოლო თუ მთავარ წინადადებაში რომელიმე ისტორიული დროა, მაშინ დამოკიდებულში ნატვრითი კილო – ოპტატივი იქნება.

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები მთავარს უერთდება კავშირებით: ἵνα, ὡσ, ὅπως (რათა); ἵνα μὴ, ὡს μὴ, ὅπως μὴ, μὴ (რათა არ).

თუ მთავარ წინადადებაში მთავარი დროა, დამოკიდებულში კილო კავშირებითი, კონიუნქტივია; ხოლო თუ მთავარში ისტორიული დროა, დამოკიდებულში ნატვრითი – ოპტივითი იქნება.

მაგ.: ὁ στρατηγὸς αἰρεῖται, ἵνα οἱ στρατῶται εὖ πράττωσιν
სარდალს ირჩევენ, რათა ჯარისკაცებმა კარგი საქმე აკეთონ;
οἱ μὲν λοιποὶ ζῶσιν, ἵνα ἐσθίωσιν, αὐτὸς δὲ ἐσθίω, ἵνα ζῶ.

სხვები ცოცხლობენ, რათა ჭამონ, მე კი ვჭამ, რათა ვიცოცხლო (პირდაპირი ნათქვამი).

Σωκράτης ἔλεγε, τοὺς μὲν ἄλλους ἀνθρώπους ζῆν, ἵνα ἐσθίειν, αὐτὸς δὲ ἐσθίειν, ἵνα ζῆν.

სოკრატე ამბობდა, რომ სხვა ადამიანები ცხოვრობენ (ცოცხლობენ), რათა ჭამონ, თვითონ კი ჭამს, რათა იცოცხლოს (ირიბი ნათქვამი).

დამოკიდებულ წინადადებაში წარსული დროის გამოყენებისას იხმარება როგორც თხრობითი კილო, ასევე ოპტივითი.

ἦριζον, τί δέοι (δέει) ποιεῖν;
კამათობდნენ, რა ვქნათო? (კამათობდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ).
ასევე: εἶποι, ὅτι ὀρθῶς λέγει (= λέγει).

თქვეს, რომ იგი სწორად ამბობდა (ლაპარაკობდა).

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: ὅτι, διότι, ὥς (იმიტომ რომ); ἐπεὶ, ἐπειδὴ (რადგანაც, ვინაიდან).

მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში უპირატესად თხრობითი კილოა, მაგრამ, თუ მთავარ წინადადებაში ისტორიული დროა, მაშინ მიზეზის დამოკიდებულ წინადადებაში ნატვრითი კილო ოპტივითია:

οἱ Ἕλληες ἐθαύμαζον, ὅτι οὐδὲμὸς Κύριος φαίνοιτο
ბერძნებს უკვირდათ, რადგან კიროსი არსაიდან ჩანდა.

კითხვითი წინადადება. კითხვითი წინადადება ორი სახისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი.

ἄρα πρέπει πείθεσθαι;
განა საჭიროა მორჩილება?

აქ კითხვითი წინადადება კითხვითი ნაცვალსახელის გარეშეა.

არაპირდაპირი კითხვა მთავარ წინადადებას უერთდება კითხვითი ნაცვალსახელებით და ზმნიშედებით, ასევე – კითხვითი ნაწილაკებით: εἰ – განა; πότερου – ἦ, εἰ – ἦ – ან-ან.

თუ მთავარ წინადადებაში ერთ-ერთი მთავარი დროა, დამოკიდებული წინადადებას ზმნა-შემასმენლის კილო იქნება indicativus, optativus potentialis, modus irrealis, coniunctivus dubitativus.

თუ მთავარ წინადადებაში ერთ-ერთი ისტორიული დროა, დამოკიდებულში იქნება ნატვრითი კილო – ოპტივითი, ზოგჯერ კი – კავშირებითი კილო – კონიუნქტივითი. უარყოფითი ნაწილაკია οὐ, კავშირებით კილოსთან – μη.

მაგ.: ὁ στρατηγὸς ἠρώτησε τὸν φύλακα, ὅπου εἶεν οἱ πολέμοι.

სარდალმა ჰკითხა მცველს: სად არიან მტრები?

ὁ Κλέαρχος ἐβουλεύετο Πρόξειον καλέσας, εἰ πέμποιέν τινας ἢ πάντες ἴσιεν ἐπὶ τὸ στρατόπεδον.

კლერქოსი, მოიხმო რა პროქსენე, რჩევას ეკითხებოდა მას – გაეგზავნათ ვინმე, თუ ყველანი წასულიყვნენ ბანაკისაკენ.

პირობითი დამოკიდებული წინადადება. პირობითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: εἰ, εἰπερ, ἐάν (≡ ἄν, ἄν, ἦν) – „თუ“; εἴτε – εἴτε – ან თუ. რთულ წინადადებას, რომლის დამოკიდებულში პირობაა, მთავარში კი – შედეგი, პირობითი პერიოდი ეწოდება. პირობით პერიოდში ორი წინადადებაა. პირველს, რომელშიც პირობაა წარმოდგენილი, ჰქვია პროტასისი (πρότασις) ანუ წინამდებარე, მეორეს კი, რომელიც შედეგს გამოხატავს – აპოდოსისი (ἀπόδοσις) ანუ მომდევნო.

მაგ.: εἰ ἐμ̄ μαιθάνεις, ἄ φίλε, τὸ μαιθάνειν παρέχει ὄλβον.

თუ კარგად იხსნავი (სწავლობ), მეგობარო, სწავლა მოგანიჭებს ბედნიერებას.

პროტასისში გამოიყენება უარყოფითი ნაწილაკი μή და მისგან ნაწარმოები სიტყვები: μὴν, μὴτέ, μὴδεις, μὴποτε და ა. შ. აპოდოსისში გვაქვს უარყოფითი ნაწილაკი οὐ და მისგან ნაწარმოები სიტყვები: οὐδέν, οὐτε, οὐδεις, οὐποτε და ა. შ. მაგრამ, თუ ზმნის კილოებია imperativus, coniunctivus prohibitivus, optativus – უარყოფა ყოველთვის მუ წინადაკითაა გამოხატული.

მნიშვნელობისა და ფორმის თვალსაზრისით გვაქვს შემდეგი პირობითი პერიოდები: 1. პირობა და შედეგი სინამდვილეს გამოხატავს (casus realis), 2. პირობაში გამოთქმულია მოსალოდნელი მოქმედება (casus futuralis), 3. პირობაში გამოხატულია შესაძლებლობა (casus potentialis), 4. პირობა და შედეგი სინამდვილის საწინააღმდეგოს, შეუძლებელს აღნიშნავს (casus irrealis).

რეალური ფორმა (casus realis). პროტასისში არის კავშირი εἰ და თხრობითი კილო, ხოლო აპოდოსისში თხრობითი კილო:

εἰ ζῆτεῖς καλῶς, εἰρίσκεις.

თუ კარგად ეძებ, პოულობ;

εἰ θεοί τι δρώσιν αἰσχροῦ, οὐκ εἰσὶν θεοί.

თუ ღმერთები რაიმე სამარცხვინოს აკეთებენ, არ არიან ღმერთები.

ფუტურალური ფორმა (casus futuralis). პროტასისშია კავშირი ἐάν (ἄν, ἦν) და კავშირებითი კილო (praes. ან aor.), აპოდოსისში კი მომავალი დროის ინდიკატივი ან იმპერატივი:

ἐάν (ἄν, ἦν) ζῆτῆς καλῶς, ἐνήσεις.

თუ კარგად ეძებ, იპოვი;

ἐάν ἦς φιλομάθης, ἔσει πολυμαθῆς.

თუ იქნები სწავლის მოყვარე, იქნები მრავლისმცოდნე.

პოტენციალური ფორმა (casus potentialis). პროტასისშია კავშირი εἰ და ნატურითი კილო – ოპტატივი (praes. ან aor.), ხოლო აპოდოსისში – ოპტატივი (praes. ან aor.) ἄν ნაწილაკით:

εἰ ζῆτοῖς καλῶς, ἐνήσοις ἄν.

კარგად რომ ეძებო, იპოვი;
εἰ τοῦτο λέγεις, ἀμαρτάνεις ἄν.

თუ ამას იტყვი, შეცდები.

σομίζωι (σομίσαι) τις ἄν – შესაძლოა ვინმემ იფიქროს (ალბათ ვინმე იფიქრებდა).
პოტენციალური, შესაძლებლობის ფორმა გამოხატულია ოპტატივით ან
აორისტიტ ἄν ნანილაკთან ერთად.

ირეალური ფორმა (casus irrealis) პროტასისშია კავშირი εἰ და პრეტერიტი (იმ-
პერფექტი ან აორისტი), აპოდოსისში – იმპერფექტი ან აორისტი ἄν ნანილაკით.

εἰ ζήτεῖς καλῶς, ἡβρίσκεις ἄν.

კარგად რომ მოგეძებნა, იპოვიდი.

დათმობითი დამოკიდებული წინადადება. დათმობითი დამოკიდებული წი-
ნადადება მთავარს უერთდება კავშირებით: εἰ καί, καί εἰ, κἄν = (καί ἔάν), ἔάν καί
καίπερ, καίτοι – თუმცა, თუმცაღა. უარყოფის შემთხვევაში იხმარება εἰ καί μή –
თუ არ; εἰ μὴδ᾽, ἔάν μὴδ᾽ – თუმცა არ.

დათმობით წინადადებებში გამოიყენება ის დრო-კილოები, რაც არის პირო-
ბით წინადადებებში.

მაგ: γελᾷ ὁ μῦθος, κἄν τι μὴ γελῶσιν ἦ.

ბრიყვი იცინის, თუმცა არაფერია სასაცილო;

φήσοισι με σοφὸν εἶναι, εἰ καί μή εἶμι

იტყვიან, რომ მე ბრძენი ვარ, თუმცა არა ვარ ბრძენი.

დათმობითი წინადადება ხშირად გადმოცემულია მიმღობით, პარტიციპიუ-
მით.

მაგ.: συμβουλέω σοι καίπερ νεώτερος ἄν.

რჩევას გაძლევ შენ, თუმცა შენზე ახალგაზრდა ვარ.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადება. შედეგობითი დამოკიდებული
წინადადება გვიჩვენებს მთავარ წინადადებაში ნათქვამის შედეგს. მისი კავშირია
ἄσπε (ἄς) – ასე რომ, რათა.

თუ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს რეალურ ფაქტს,
მაშინ კილო უთუოდ თხრობითია. უარყოფაა – οὐ.

თუ შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გამოხატავს შესაძლებლობას,
მაშინ ერთგვაროვან ქვემდებარებებთან დაისმის ინფინიტივი, სხვადასხვა ქვე-
მდებარებებთან კი – აკუზატივი ინფინიტივთან. უარყოფაა – μή.

მაგ.: ἦν ψυχὸς δεῖσόν, ἄσπε τὸ ἕδαρ ἐπήγυστο.

საშინელი სიცივე იყო, ასე რომ, წყალი გაიყინა.

აქვე წარმოვადგენთ აორისტის ფორმებს, რომლებიც სხვადასხვა მნიშვნე-
ლობითაა, ამასთანავე, გვიჩვენებენ მთავარ წინადადებაში ნათქვამის შედეგს:

οἱ Ἕλληες ἐπολέμησαν.

ბერძნები იბრძოდნენ (მუდმივ მოქმედებას გვიჩვენებს);

ἐπεὶ οὖν ἐνίκησεν.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც გაიმარჯვა (ადრე მომხდარის შედეგს გვიჩვენებს);

ასევე: ἐμσημόυσσα, ἡκούσατε.

გამახსენდა, მომისმინეთ;

ἤκουσατε αὐτοὺς ἀμείλιτοι.

მოისმინეთ, რომ მათ არ იზრუნეს.

მოქმედების თანადროულობაზე მიუთითებს:

ἐπεὶ μὴ ἔσταν δουλῶσαι.

ესწრაფვოდნენ დამონებას;

κατησάμειοι τῆς ἀρχῆς.

მას შემდეგ, რაც ძალაუფლება მოიპოვეს.

აორისტის მიმღობა ყოველთვის ადრე მომხდარ მოქმედებაზე მიუთითებს.

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება მთავარს უერთდება კავშირებით: ὅτε, ὅποτε, ἤσ' ἕκα, ἄς, ἐπεὶ, ἐπεὶ δὲ – როცა; ἔξ, ὅς, ἀφ' ὅς, ἐξ ὅπου – იმ დროიდან, რაც; ἕως, ἕστε, μέχρι – სანამ; πρὶν – ვიდრე, სანამ; ἄς τάχιστα, ἐπεὶ δὲ τάχιστα, ἐπεὶ ταχιστα, ἐπεὶ δὲ πρῶτον – როგორც კი.

თუ დროის გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებაში საუბარია სინამდვილეში მომხდარ ფაქტზე, გვაქვს თხრობითი კილო, უარყოფა ὅς – თია გადმოცემული, ხოლო, თუ საუბარია შესაძლებელ ან მოსალოდნელ მოქმედებაზე, მაშინ გვაქვს კავშირებითი კილო ἄν ნანილაკით, ზოგჯერ კი – ოპტატივი. უარყოფაა – μὴ.

კავშირებითი კილო გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ მთავარ წინადადებაში მთავარი დროა; თუ მთავარში ისტორიული დროა, მაშინ შემასმენელი ოპტატივით გამოიხატება.

მაგალითად: Ἐπειδὴν ἅπαντα ἀκούσθητε, κρίνετε.

განსაჯეთ, როგორც კი ყველაფერს მოისმენთ;

Μαὶνόςμεθα πάντες, ὅποταν ὀργιζώμεθα.

ყველანი ვგიჟდებით, როცა ვმრისხანებთ;

Μὴ ἀπέλθῃτε, πρὶν ἂν ἀκούσθητε ἅπαντα.

ნუ წახვალთ, ვიდრე ყველაფერს არ მოისმენთ.

დამატება

ბერძნული გრამატიკული აზრის ისტორიიდან¹

თითოეულ მეცნიერებას თავისი ისტორია აქვს, ასევე – ენათმეცნიერებასაც. ენათმეცნიერება ფილოლოგიის ნიაღში ჩაისახა. ფილოლოგია კი მაშინ წარმოიშვა, როცა გაჩნდა წერილობითი ძეგლები და საჭირო გახდა მათი შესწავლა. ენათმეცნიერების განვითარებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ძველი ინდოეთისა და ძველი საბერძნეთის ფილოლოგიამ.

ბერძნული გრამატიკა შეიქმნა მეორე და პირველი საუკუნეების მიჯნაზე. იგი ჩამოყალიბდა ფილოლოგიური ძიების პროცესში. ფილოლოგიურ ძიებას კი მიზნად ჰქონდა ტექსტის განმარტება. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო ენობრივ ფაქტებზე დაკვირვება. აღსანიშნავია, რომ ფილოლოგიური გრამატიკის შექმნამდე ძირითადი გრამატიკული ცნებები და სათანადო ტერმინები, – სახელი, ზმნა, ბრუნება, ბრუნვათა სახელები უკვე შექმნილი იყო. ეს გააკეთა ბერძნულმა ფილოსოფიამ. განსაკუთრებით დიდი იყო არისტოტელესა და სტოელთა წვლილი ამ საქმეში. თავის „პოეტიკაში“ არისტოტელე გამოყოფს ბგერას (ელემენტს), მარცვალს, კავშირს, სახელს, ზმნას, ბრუნვას.

არისტოტელეს მოძღვრებას მეტყველების ნაწილთა შესახებ ჯერ კიდევ არა აქვს საკუთრივ გრამატიკული მნიშვნელობა, მაგრამ მან სტიმული მისცა გრამატიკის შექმნას. შემდეგ სტოელებმა დაარქვეს სახელები ბრუნვისა და ზმნათა ფორმებს, შემოიტანეს მეტყველების ნაწილთა მორფოლოგიური კატეგორიების ცნება. ეს არაა შემთხვევითი: აზროვნების პრობლემაზე მუშაობა ენაზე დაკვირვებასაც ბუნებრივად გულისხმობდა. და, ამდენად, გასაგებია, თუ რატომ იყო ბერძნული გრამატიკის ძირითადი ცნებები უკვე შექმნილი ფილოსოფიაში.

ფილოსოფიისაგან გრამატიკის საბოლოო გამოყოფა და მეტყველების ნაწილთა რვანეკრიანი სისტემის დაკანონება ელინიზმის ეპოქას უკავშირდება. ამ პერიოდში ფილოლოგები აგროვებდნენ და სწავლობდნენ ხელნაწერებს, მიმართავდნენ ლიტერატურული ტექსტების კრიტიკას, ფილოლოგიურ განმარტებებს; მთელი ნაწარმოების განმარტებას ეწოდა კომენტარი, ხოლო მისი ცალკეული ადგილებისას – სქოლიო.

ჯერ კიდევ ალექსანდრიელი მეცნიერები თავიანთი ფილოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ საფუძვლად თვლიდნენ ენობრივი მოვლენების გათვალისწინებას და ერთმა მათგანმა – არისტარქემ ჩამოაყალიბა კიდევაც მოძღვრება მეტყ-

¹ დაბეჭდილია „ლოგოსის“ მიერ გამოცემულ კრებულში „ანათესისი“, იხ. თ. გიორგობიანი, თბ., 1999.

ველების ნაწილებზე. მანამდე კი არისტოფანე ბიზანტიონელმა მოგვცა მნიშვნელოვანი გამოკვლევები ენის, ლიტერატურისა და ტექსტუალური კრიტიკის შესახებ. ცნობილია მისი კრიტიკული გამოცემები (δύσπραστος) ჰომეროსის, პესიოდესი და ლირიკოსებისა. იგი წერდა განმარტებებს (ὑπομνήματα); მან პირველმა შემოიღო მახვილისა და ფშენვის ნიშნები. არისტოფანე ბიზანტიონელს დაუმუშავებია ბერძნული მორფოლოგიის საკითხები და მას მიენერება კანკლედობის სახეთა დადგენაც.

რაც შეეხება კრატეტ მალოსელს – პერგამონის ფილოლოგიური სკოლის წარმომადგენელს (II საუკუნე ძვ.წ.) – მას ეკუთვნოდა გრამატიკული თხზულება – „ატიკური დიალექტის შესახებ“. მის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე ბრძოლა ორი მონინააღმდეგე გრამატიკულ-ფილოლოგიური მიმართულებისა, ანალოგისტებისა და ანომალისტებისა. სტოელები ფიქრობდნენ, რომ სიტყვის ძირი მოცემულია ბუნებით, ხოლო მისგან ნაწარმოები სიტყვები, მაგალითად, ბრუნება ან უღვლილება (უღლება) – ხელოვნურიაო. და მაშინ, როცა ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლები ენობრივ ფორმათა ცვლილებებში კანონზომიერებას ხედავდნენ, სტოელი ქრისიპე ამ კანონზომიერებას (ანალოგიას) უარყოფდა და მის არარსებობას, ე. ი. ანომალიას აღიარებდა. პირველი ფუძემდებლური თხზულება, რომელიც დაინერა ამ საკითხზე, იყო ქრისიპეს „Περὶ τῆς κατὰ τὰς ἀσάμαξίας“. ტერმინები – ანალოგია და ანომალია პირველად ქრისიპესთან გვხვდება.

ალექსანდრიელი ფილოლოგოსები ხაზს უსვამდნენ ანალოგიის როლს, ე. ი. გრამატიკულ ფორმათა ერთფეროვნებისაკენ მისწრაფებას. სტოელთა აზრით, იყო სიტყვისა და საგნის შეუსატყვისობა, – ე. ი. ხაზგასმით მიუთითებდნენ ანომალიაზე. ამ დავამ შეუნყო ხელი ენის უფრო ღრმად შესწავლას, გრამატიკის უმნიშვნელოვანესი ცნებების დამუშავებას.

იმ დროის გრამატიკულმა სკოლამ გრამატიკის ალექსანდრიული სკოლის სახელწოდება მიიღო. მისი წარმომადგენელნი იყვნენ: არისტარქე ('Αρίσταρχος), დიონისე თრაკიელი (ὁ Διοσῆσιος Θράξ) და აპოლონიოსი (ὁ Ἀπολλώνιος Δύσκωλος). ალექსანდრიისა და პერგამონის ბიბლიოთეკებში წარმოებულმა მთარგმნელობითმა კვლევა-ძიებამ გრამატიკასთან ერთად წარმოშვა სხვა სამეცნიერო დარგებიც. ისინი იკვლევდნენ მხატვრული ლიტერატურის საკითხებს, რიტორიკასა და ფილოსოფიას. პორფირიოს ტვიროსელი იყო როგორც გრამატიკული, ასევე ფილოლოგიური და ფოლოსოფიური გამოკვლევების ავტორი. პორფირიოსის ფილოსოფია გადმოცემულია ანტონ კათალიკოსის თხზულებაში.

უკვე არისტარქემ (II ს. შუა წლები ჩვენს ერამდე) გამოყო 8 მეტყველების ნაწილი: 1. სახელი (ὄνομα) – ბრუნებადი ნაწილი, 2. ზმნა (ῥήμα) – უღლებადი (რომელსაც აქვს პირი, რიცხვი, კილო, გვარი, სახე-ასპექტი), 3. მიმღეობა (μετοχή), რომელსაც ახასიათებს ზმნისა და სახელის თვისებები, 4. არტიკლი, ნაწევარი (ἄρθρον) – ბრუნებადი მეტყველების ნაწილი, რომელსაც აქვს სქესი, რიცხვი, ბრუნვა და გამოიყენება მისათითებლად იმისა, რასაც მიკუთვნება ეწოდება.

5. ნაცვალსახელი (*διττασύμια*) – როგორც არისტარქე მიუთითებს, იცვლება პირების მიხედვით, გამოიყენება სახელების ნაცვლად. 6. წინდებული (*πρόθεσις*) – მეტყველების ნაწილი, რომელიც სხვა მეტყველების ნაწილზე წინ დგას – სიტყვის შემადგენლობაშიც და წინადადებაშიც, იგივე პრეფიქსი. 7. ზმნიზედა (*ἐπίρρημα*) – მნიშვნელობისა და შედარების გამომხატველი. 8. კავშირი (*σύνθεσις*) – ის, რაც ანესრიგებს აზრს. არის მართებული, მაცალკეებელი.

მართალია, არისტარქემ ჩამოაყალიბა მოძღვრება მეტყველების ნაწილებზე, რომელიც შემდეგ „ბერძნული ენის გრამატიკაში“ შევიდა, მაგრამ პირველი ბერძნული გრამატიკა არისტარქეს მოწაფეს, დიონისე თრაკიელს ეკუთვნის, – ელინისტური პერიოდის რიტორსა და გრამატიკოსს. მის შესახებ სვიდა აღნიშნავდა, რომ „დიონისიოსმა შეთხზა გრამატიკული ნაშრომები, მოგვცა გამოკვლევები და განმარტებები“.¹ მაგრამ მისი მთავარი ნაშრომი მაინც არის *τέχνη γραμματική*. იგი ბერძნული ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვაა; შედგენილია ალექსანდრიელ ფილოლოგოსთა მიერ მოპოვებული ცოდნის საფუძველზე და, როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, „იგი არის შეჯამება ამ მოპოვებული ცოდნისა“.²

თრაკიელის სახელმძღვანელოში შემდეგი საკითხებია განხილული: გრამატიკის ცნების განსაზღვრა; გრამატიკის ნაწილები, სწორად კითხვა (ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ძველ ბერძნულ ტექსტებში არ იყო აღნიშნული მახვილის აღმნიშვნელი ნიშნები, სიტყვები არ იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი და იშვიათად იყო სასვენო ნიშნები), განმარტება პოეტური სახეებისა, სიტყვათა და ისტორიათა თანმიმდევრული გადაცემა (*γλωσσῶν τε καὶ ἱστορίων πρόχειρος ἀπόδιξις*), შეფასება ნაწარმოებებისა (*κρισις ποιημάτων*) ანუ კრიტიკა. აქ იგულისხმება *διόρθωσις* და ტექსტის ესთეტიკური შეფასება; ითვალისწინებს ლექსიკოლოგიის საკითხებსაც. ყურადღება ექცევა ეტიმოლოგიის დაძებნას (*ἔτυμολογίας εὑρεσις*), ანალოგიათა მოხმობას (*ἀναλογίας ἐκλογισμός*), – აქ მხედველობაშია მიღებული პარადიგმები ბრუნებისა და უღლებისა, თხზულებათა ანალიზი. შემდეგ უკვე მოძღვრებაა მახვილის, სასვენო ნიშნების, ბგერებისა და მარცვლების შესახებ. მეტყველების ნაწილებიდან წარმოდგენილია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი (ჩვენებითი, განუსაზღვრელობითი, კითხვითი), ზმნა, მიმღობა, ართრონი (აქვე შედის რელატიური ნაცვალსახელი, პირის ნაცვალსახელი, კუთვნილებითი ნაცვალსახელი), წინდებული, ზმნიზედა, კავშირი, კანკლედობა, უღვლილება – ანუ: მთელი გრამატიკა (გარდა სინტაქსისა). საკვლევი ობიექტის განსაზღვრა და ამოცანა ამ სრული გრამატიკისა, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე,³ ადასტურებს იმას, რომ ძველი ბერძნული ენის გრამატიკა იყო ლიტერატურის სამსახურში.

¹ ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1949, გვ. 248.

² იქვე, 249.

³ იხ. A. Hilgard. Scholia in Dionysii Thracis *Artem grammaticam*, Lipsiae, 1901.

ანტიკურმა გრამატიკამ ლინგვისტური გამოკვლევა გამოიყენა როგორც საშუალება ლიტერატურული ძეგლების განმარტებისათვის. ცნობილია გრამატიკის საგნის განსაზღვრა თრაკიელთან: „გრამატიკა წარმოადგენს ემპირიას, პრაქტიკულ ცოდნას იმისას, რაც ძირითადად თქმულა პოეტებისა და პროზაიკოსებისაგან“. ამ განმარტებიდან ნათელია, რომ, თრაკიელის აზრით, გრამატიკის ამოცანაა პოეზიისა და მხატვრული პროზის კვლევა. დიონისეს ამ განმარტებაში გამოძახილი პოვა ალექსანდრიელი გრამატიკოსების – არისტოფანე ბიზანტიონელის, არისტარქე სამოთრაკიელისა და სხვათა შეხედულებებმა. ბიზანტიელი გრამატიკოსები მას განსაზღვრავენ როგორც თეორიულ მეცნიერებას, გაგებას იმისას, რის შესახებაც ლაპარაკია პოეტებთან და პროზაიკოსებთან (γραμματική ἔστι τέχνη θεωρητική τῶν παρὰ ποιηταῖς καὶ λογιῆται). გრამატიკის ამოცანად ბერძენ და რომაელ ფილოლოგოსებს მიაჩნდათ დაზუსტება ლიტერატურული ტექსტებისა. ამიტომაც, ანტიკური გრამატიკა ითვალისწინებდა ენის თეორიასა და ლიტერატურის თეორიას; განსაკუთრებით მჭიდროდ იყო ის დაკავშირებული რიტორიკასთან. ეს ნაშრომი იყო პირველი, რომელმაც ჩამოაყალიბა ბერძნული გრამატიკის ძირითადი საფუძვლები. იგი მიღებული იყო როგორც სახელმძღვანელო ბერძნულსა და რომაულ სკოლებში. ამ გრამატიკით ასწავლიდნენ ბერძნულ ენას ბიზანტიაში XIII საუკუნემდე. უკვე V საუკუნეში თრაკიელის გრამატიკა თარგმნილი იყო სირიულად და სომხურად.

საქართველოში, X საუკუნეში შედგენილ ქართულ სასწავლო ნიგნში გამოყენებული ყოფილა გრამატიკის სქოლიასტის ნაშრომი და მის მიხედვით დაწერილია თავი „ბერძნული ანბანის შესახებ“. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ თრაკიელის გრამატიკამ შეასრულა განმსაზღვრელი როლი ადრეული შუა საუკუნეების გრამატიკული აზრის განვითარებაზე. ის უცნობი არ უნდა ყოფილიყო ქართველი მთარგმნელებისთვისაც, რადგან უკვე V-X საუკუნეთა წერილობითი ძეგლები, ენობრივი ნორმების თვალსაზრისით, ისეთ სტაბილურობას ამყვანებდნენ, რომ საქართველოში მწყობრი გრამატიკული ცოდნის არსებობა უცილობელი იყო. ქართველი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ X-XII საუკუნეების საქართველოში არათუ იცნობდნენ, არამედ ჰქონდათ კიდევ საკუთარი გრამატიკული ლიტერატურა. ეს აზრი სარწმუნო გახადა ჯერხნობით პირველი ორიგინალური ქართული გრამატიკული ნაშრომის გამოცემამ – „სიტყუაი ართრონისათჳს“. ¹ ეს არის მნიშვნელოვანი საენათმეცნიერო თხზულება, რომელიც მოწმობს, რომ ძველი ქართველი მნიგნობრები არა მარტო იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკულ აზრს, არამედ, მისი გათვალისწინებით, ცდილობდნენ ქართული გრამატიკული ნესების დადგენასაც.

ტრაქტატის ავტორის ენათმეცნიერულ შეხედულებათა საყრდენი ყოფილა დიონისე თრაკიელისა და მისი მრავალრიცხოვანი კომენტატორების მიერ შემუ-

¹ მზ. პანიძე, „სიტყუაი ართრონისათჳს“, ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, თბ., 1990.

შავებული გრამატიკული სისტემა. თრაკიელის მოძღვრების ძირითადი დებულებები ასევე გადმოცემულია იოანე პეტრინის განმარტებით თხზულებაში პროკლე დიადოხოსის „ელემენტებზე“, სადაც ორიგინალური მსჯელობაა ზოგიერთ გრამატიკულ საკითხზე; მხედველობაში გვაქვს პეტრინისეული განმარტებები სიტყვათწარმოებაზე.¹

შემდგომი ეტაპია აპოლონიოს დისკოლოსის (II ს. ახ.წ.) მოღვაწეობა. მისი ნაწარმოებებია: „ორთოგრაფია“, „პროსოდიები“, „მახვილი“, „მეტყველების ნაწილები“ ოთხ წიგნად, რომელთაგანაც ჩვენამდე მოაღწია სამმა თავმა (ნაცვალსახელი, ზმნისართი, კავშირი). აპოლონიოს დისკოლოსს ეკუთვნის დიალექტოლოგიური გამოკვლევები, კერძოდ, დორიულ და ეოლიურ დიალექტებზე და მრავალი სხვა. მან პირველმა შეადგინა სინტაქსი. მისი $\pi\epsilon\rho\iota\ \sigma\upsilon\mu\alpha\tau\acute{\alpha}\xi\alpha\varsigma$ ჩვენამდე მოღწეულია.

შუა საუკუნეებსა და აღორძინების ეპოქაში ძველი საბერძნეთისა და რომის ლიტერატურისადმი ინტერესმა განაპირობა კლასიკური ფილოლოგიის განვითარება. იმ დროს გრამატიკა ითვლებოდა სიბრძნის ნიმუშად – სწორად წერისა და მეტყველების ხელოვნებად. პუმანიტარული მეცნიერებანი მიეკუთვნებოდა ტრივიუმის რიცხვს: გრამატიკა იყო წერის ხელოვნება, დიალექტიკა – კამათისა და დასაბუთების ხელოვნება, რიტორიკა – საუბრის ხელოვნება.

კლასიკური დროის ფილოლოგიამ ყურადღება გაამახვილა ენათმეცნიერების მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე. იწყება ზოგადფილოლოგიური და ზოგადფილოსოფიური პრობლემებიდან ენათმეცნიერების საკითხთა გამოყოფა. აღინერა ბერძნული, სანსკრიტი და ლათინური ენები ცალ-ცალკე; რომაელი ავტორების შრომებში მოხდა ორი ენის – ლათინურისა და ბერძნულის შედარება.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ – XIII-XIV საუკუნეებში ჩნდება სკოლები, იქმნება სწავლების მეთოდოლოგია. შემდგომში ფილოსოფიურ (საყოველთაო) გრამატიკებს დაუპირისპირდა ფილოლოგიური (ნორმატიული), შემდეგ კი ისტორიული და შედარებით-ისტორიული გრამატიკები.

ტრადიციულად, კლასიკური გრამატიკისადმი მისადაგებით იფარგლებოდა ყველა სხვა ენის განხილვა. ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში – პერაკლიტე, დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე – არსებითად ერთი პოზიციიდან უდგებოდნენ ენობრივი ფაქტების განხილვას. დამოუკიდებელი ღირებულება ენამ ფაქტობრივად ალექსანდრიის ფილოლოგიურ სკოლაში მოიპოვა, დიონისე თრაკიელისა და აპოლონიოს დისკოლოსის ნაშრომებში. არსებითად იგივე პოზიციად ძველი რომაელი გრამატიკოსის ვარონის და სხვათა შრომებში; ძველ სამყაროშივე ჩაისახა ფილოსოფიურ-ლოგიკისტური და ფილოლოგიური კვლევა ენობრივი მოვლენებისა. ბერძენმა ფილოსოფოსებმა განსაზღვრეს თავიანთი ენის კატეგორიები; გრამატიკოსებმა აღწერეს დიალექტები.

¹ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1949, გვ. 251.

ძვ. წ. V საუკუნეში განსაკუთრებით გამოიკვეთა ატიკური დიალექტის მნიშვნელობა. მან ნიადაგი მოამზადა საბერძნეთის ენობრივი უნიფიკაციისათვის და გახდა ერთგვარი მოდელი საერთო ენისათვის.

კლასიკურმა და ძველინდურმა ფილოლოგიამ, გერმანისტიკამ და ირანისტიკამ, სლავისტიკამ და რომანისტიკამ ნიადაგი მოამზადეს ევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის შესაქმნელად. შემდეგ, ენათმეცნიერებმა კანონზომიერად დასვეს საკითხი ფუნქციისა და ფორმის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად კვლევის აუცილებლობაზე, წარმოაჩინეს ენობრივი ფორმის შინაგანად კანონზომიერი, სისტემური ხასიათი.

ბერძნული ენის ისტორიიდან¹

ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე წერდა: ფინიკიელებმა, რომლებიც კადმოსთან ერთად მოვიდნენ და საბერძნეთში ცხოვრობდნენ, ბევრი მოძღვრება შემოიტანეს ელინებში და მათ შორის ანბანიცო; ფინიკიელებმა დაამკვიდრესო ანბანი ელადაში და მართლაც, ბერძნული ასოები არა მარტო იმეორებენ ფინიკიურ ასოთა რიგს, არამედ სახელწოდებებიც იქიდან აქვთ ნასესხები. შეადარეთ: α α, βήτα, γάμμα, δέλτα... და ებრაული – ალეფ, ბეტ, გიმელ, დალეთ. შესაბამისად: ა – ალეფ – ხარი; ბ – ბეტ – სახლი; გ – გიმელ – აქლემი; დ – დალეთ – კარი...²

თავდაპირველად ბერძენთა ანბანი სემიანთა ანბანივით 22 ასოსაგან შედგებოდა, მაგრამ ბერძნების მიერ შეთვისებული ანბანი ბერძნული ენის ბგერათა გამოსახატავად საკმარისი არ იყო. სახელდობრ, არ იყო ხმოვნების გამომხატველი ნიშნები და საჭირო იყო შეექმნათ ისინი. ეს პროცესი ბუნებრივად უნდა მომხდარიყო, თანდათანობით; უკვე V საუკუნიდანვე (ძვ.წ. I ს.) ჩნდება ხმოვნების აღმნიშვნელი ასოები; დიონისე პალიკარნასელი (ძვ.წ. I ს.) განსაკუთრებით კეთილხმოვან ბგერებად მიიჩნევდა გრძელ ხმოვნებს ა, η და ω-ს, ასევე დიფთონგებს.

უ ერთ-ერთი პირველი ბგერაა, რომელიც ბერძნებმა ფინიკიელებისაგან ანბანის შემოღების შემდეგ თავიანთი საჭიროებისათვის დაუმატეს. ბგერას, რომლის გამოხატვაც υ-ს დაეკისრა, თავდაპირველად ბერძნები ο-თი გადმოსცემდნენ, რომელიც ου-დ იქცა, ანუ: κίσους – ნაცვლად κίους-ისა, ὄμφακ – ნაცვლად ὄμφα-ისა, σίς – ნაცვლად σύς-ისა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამავე დროს ου-მ მთლიანად ვერ დაიკავა ο-ს ადგილი და წარწერებში ჩანს ორი ნიშნის ურთიერთმონაცვლეობა და მერყეობა თითოეულის ხმარებაში. ბეოტიურში ο პირველად გამოჩნდა ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისში.

¹ თ. გიორგობიანი, ბერძნული ენის ისტორიიდან, საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995.

² ივ. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია, თბ., 1947; ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1965.

ცნობილია, რომ ყველაზე გვიან მოკლე და გრძელი ო-სთვის იყო საგანგებო ნიშნები შემოღებული. ეს ა- ომეგა ჩვ.წ. VIII საუკუნეში უნდა ყოფილიყო შეთვისებული, რამდენადაც მილეტის რიცხვით ანბანში ის უკვე ფიგურირებდა.

თუ რა დროს ჩნდება პირველად ბერძნული ანბანური დამწერლობა – ამის შესახებ მეცნიერთა შორის სრული უთანხმოებაა. ზოგი, მაგალითად, ლარფელდი, XIV-XI საუკუნეებს ვარაუდობს, გარდამავტენს კი XI საუკუნეზე უწინარეს ბერძნული ანბანთდამწერლობის არსებობისათვის არავითარი სანდო საბუთი არ მოეპოვება.

ამჟამად გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, ბერძნული ანბანური დამწერლობა უნდა შემნილიყო სწორედ ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასაწყისში (შვიცერი, 1939, 141). ბერძნულმა ანბანმა თავისი განვითარების გზაზე რამდენიმე საფეხური გაიარა. 403/2 წელს, ევკლიდეს არქონტობის დროს, ათენმა მიიღო 24 ასოს შემცველი იონიური ანბანი.

ბერძნული ენა ἡ Ἑλληνική γλῶσσα ელადამი მოსახლე ხალხის – ელინების ენაა; რომაელები მათ გრეკებს ეძახდნენ ბეოტიის უძველესი ქალაქის გრაიას სახელიდან Graeci < Graici.¹

ძველ ბერძნულ ნარწერებში დაცულია სემიტურთან მსგავსება: ასოები ინერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ. პირველი სტრიქონი მიდიოდა მარჯვნიდან მარცხნივ, მეორე სტრიქონი – მარცხნიდან მარჯვნივ, მესამე – ისევ მარჯვნიდან მარცხნივ და ა. შ. წერის ამგვარ მიმართულებას ეწოდებოდა „ბუსტროფედონი“ – ხარის მობრუნება (βυστροφιχθόν), ე. ი. წერა, რომელიც მსგავსია კვალში ჩამდგარი მხენელი ხარის სვლისა. ეს დამახასიათებელი იყო არქაული ხანისათვის.

ბერძნული ანბანური დამწერლობის უძველეს ნიმუშს წინ უსწრებს β-ხაზოვანი დამწერლობა,² რომლითაც შესრულებულია ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის მთელი რიგი ნარწერები კრეტა-მიკენში და რომელიც ეგეოსური ანუ წინაბერძნული მოსახლეობისაგან შეითვისეს ბერძნულმა ტომებმა.

მიკენური კულტურის დაცემის შემდეგ ეს დამწერლობა, რომელიც ბერძნული ენისათვის შეუსაბამო იყო, ელინურმა ტომებმა უკუაგდეს და შექმნეს საკუთარი ანბანური დამწერლობა, რომელსაც, ფინიკიური ანბანი დაედო საფუძვლად. ფინიკიური ანბანი წერის კონსონანტური ტიპია. ბერძნებმა საკუთარი ენის სტრუქტურის შესაბამისად გადაამუშავეს იგი და ფონოგრაფიული წერის ყველაზე სრულყოფილი სახე შექმნეს. მათ ასოებით გამოხატეს არა მარტო კონსონანტები, არამედ ხმოვნებიც.

ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ მაკედონიის იმპერია დაიშალა; წარმოიშვა ცალკე სამეფოები, ე. წ. ელინისტური სამეფოები. II-I საუკუნეებში ეს სამეფოები თანდათან დაიპყრო რომმა. ამგვარად, ბერძნულმა

¹ ა. ურუშაძე, საისტორიო-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1980, გვ. 192.

² რ. გორდენიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985, გვ. 33. მისივე: ბერძნული ლიტერატურა, ლოგოსი, თბ., 2002.

კულტურამ შეიცვალა თავისი განვითარების გზები. გაჩნდა კულტურის ახალი ცენტრები. ათენის ადგილი დაიჭირა ალექსანდრიამ – ეგვიპტეში, პერგამონმა – მცირე აზიაში, ანტიოქიამ – სირიაში. ასე რომ, თუ ელინურ პერიოდში ლიტერატურული ნაწარმოებები ინერებოდა ეოლიურ, იონიურ და დორიულ დიალექტებზე, რადგანაც საერთო სალიტერატურო ენა ბერძნებს მაშინ არ გააჩნდათ, – უკვე ელინისტურ პერიოდში ეს დიალექტები ქრება, იქმნება საერთო ბერძნული ენა ანუ: კოინე (κοινή διάλεκτος) – საერთო დიალექტი. იგი ჩამოყალიბდა იონიური განშტოების, ატიკური დიალექტის საფუძველზე.

ატიკური დიალექტი V საუკუნიდან დამკვიდრდა ატიკაში. იგი მომდინარეობს იონიური დიალექტიდან და მასზეა შექმნილი საისტორიო, ფილოსოფიური და როტირიკული პროზის უბრწყინვალესი ნიმუშები, ბერძენ დრამატურგთა თხზულებები; განარჩევენ ძველ და ახალ ატიკურსაც.

ატიკურ დიალექტს ერთგვარი უპირატესობა უკვე ჰქონდა მოპოვებული IV საუკუნიდან. ალექსანდრე მაკედონელის წყალობით კოინე მაღალი წრეებისა და ელიტარული საზოგადოების ლიტერატურულ ენად იქცა. ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ ბერძნული გამოიყენებოდა. ამის დამადასტურებელია არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები და ასევე მცხეთა-სამთავროს ბერძნული წარწერა.¹ ვინაიდან ელინისტური კულტურის რკალში იყო იმდროინდელი საქართველოც, გასაკვირი არ არის, რომ რომაელი კეისრის ვესპასიანეს წარწერაც საქართველოში ბერძნულად არის ამოჭრილი, თუმცა, რომის იმპერიის სახელმწიფო ენა ლათინური იყო.

ბერძნული ენის განვითარების ეტაპები ემთხვევა ბერძნული ლიტერატურის განვითარების ეტაპებს. ნ. გრინბაუმი ავითარებს აზრს, რომ საგუნდო ლირიკას უშუალო კავშირი აქვს კრეტა-მიკენის პერიოდის არქაულ, წინადორიულ ენობრივ არეალთან.²

მიკენური სამყაროს დაქვეითების შემდგომ დაიწყო დიალექტური დიფერენციაციის აქტიური პროცესი; ჩამოყალიბდა ოთხი ძირითადი დიალექტური ჯგუფი. ესენი იყო: იონიური, ატიკური, დორიული და ეოლიური. იონიური დიალექტი გავრცელებული იყო მცირე აზიის სანაპიროზე, ეგეოსის ზღვის კუნძულთა დიდ ნაწილზე, სიცილიის ზოგიერთ კოლონიაში.

ატიკური დიალექტი იონიური დიალექტიდან მომდინარეობს და განსაკუთრებით გამოიკვეთა მისი მნიშვნელობა ძვ.წ. V საუკუნიდან. ეს ის დროა, როცა ათენის პოლიტიკური და ეკონომიკური აღზევება დაიწყო. ამ დიალექტზე შეიქმნა იმდროინდელი საისტორიო, ფილოსოფიური და რიტორიკული პროზის უბრ-

¹ თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, პროგრამა „ლოგოსი“, 2004.

² Н. Гринбаум, Пиндзар, Кишинев. 1973.

წყინვალესი ნიმუშები – ესქილეს (525 – 456 წ.), სოფოკლეს (496 – 406 წ.),
ევრიპიდეს (480 – 406 წ.), არისტოფანეს (450 – 385 წ.), ქსენოფონტის (434 –
355 წ.), დემოსთენეს (383-322 წ.), პლატონის (427 – 347) ნაწარმოებები.

რაც შეეხება დორიულ დიალექტს, დორიული დიალექტი იყო პელოპონესში,
ეგეოსის ზღვის სამხრეთ კუნძულებზე (კრეტა, როდოსი), იტალიის სამხრეთში
და იგი გამოიყენებოდა ზოგიერთი ლირიკოსის პოეზიაში. ესენი იყვნენ პინდარე
(522 ძვ.წ.), თეოკრიტე (310-245 წ.), რომლებიც იყენებდნენ ეპიკურ და ეოლიურ
ფორმებსაც. ეოლიური დიალექტი გავრცელებული იყო კუნძულ ლესბოსზე,
თესალიასა და ბეოტიაში დორიული ინგრედიენტებით.¹

არკადიული და კვიპროსული დიალექტები შემონახულია პილოსის, მიკენისა
და კნოსოსის წარწერებში, რომლებიც ძველი ნელთალრიცხვით 1400-1200
წლებით თარიღდება. მიკენური მარცვლოვანი დამწერლობა საკმაო ხანს შემორ-
ჩა ძველი ბერძნული ენის კვიპროსულ დიალექტს. არკადიული და კვიპროსული
დიალექტები წინადორიულს მიეკუთვნებიან და მათი კვალი შემონახულია
კრეტის ე. წ. ხაზოვან წარწერებში. საერთოდ, დორიული დიალექტი გავრცელე-
ბული იყო ეგეოსის ზღვის სამხრეთ კუნძულებზე – კრეტაზე, მელოსზე, თერაზე,
როდოსზე.

ბერძნული კალენდარი

თავდაპირველად ბერძნებს 354 დღისაგან შემდგარი მთვარის წელი ჰქონ-
დათ. თვე შედგებოდა 30 ან 29 დღისაგან. თვეები იყოფოდა დეკადებად, თვის
პირველ დღეს ერქვა *πρωτη* (ახალმთვარობა); კალენდარი საბერძნეთის ყველა
მხარისათვის არ იყო ერთიანი.

დღეების სახელებია:

Κυριακός, ἡ, ὄν (= Κυριακὴ ἡμέρα) ღვთის დღე (კვირა).

δευτερος, α, ον = მეორე დღე (ე. ი. ორშაბათი).

τριταῖος, α, ον = მესამე დღე (ე. ი. სამშაბათი).

τεταρταῖος, α, ον = მეოთხე დღე (ე. ი. ოთხშაბათი).

πέμπτη ἡ = მეხუთე დღე (ე. ი. ხუთშაბათი).

παρασκευὴ ἡ = პარასკევი, შაბათის წინა დღე (შზადება შაბათისათვის –
ზმნიდან: παρασκευάζω).

σάββατον τό = σαββατικός = შაბათი (იუდეური).

„შაბათი“ – ქართულად „შაბათისა“ სახელი არს კრონოსისა, კვირიაკისა – მზისა
და საუფლო, ორშაბათისა – მთოვარისა, სამშაბათისა – არიასი, ოთხშაბათისა –

¹ ა. ურუშაძე, ბერძნული ენის ისტორიის საკითხი, საისტორიო-ფილოლოგიური ძიებანი,
I, თბ., 1980, გვ. 201

ერმისა, ხუთშაბათისა – აფროდიტისა, პარასკევისა – დიოსისა. ესე არს სახელები დღეთანი” სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ = კვრა, ერთშაბათი, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი (განსვენების დღე).¹

ბიბლიური კოსმოგონიით ღმერთმა ექვსი დღის შრომის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც შექმნა სამყარო, – მეშვიდე დღეს დაისვენა.

ქრისტიანობა რომ გამიჯვნოდა თავის საყრდენ იუდაიზმს, კვირეულის უქმე დღედ დანესდა არა ებრაული კვირეულის მეშვიდე დღე, შაბათი, არამედ მისი (ე. ი. შაბათის) მომდევნო დღე, ერთ-შაბათი. ამდენად, ებრაულში ერთ-შაბათი სამუშაო დღეა, უქმე დღიდან პირველი დღე, მაგრამ კალენდარულად ქრისტიანული სამყაროს კვირეულის უქმე დღეს, უფლის დღეს, კვირას (κυριακή-ს) ემთხვევა. ასე რომ, ბიბლიაში ნახმარი „ერთ-შაბათი“ (μὴ ἓν σαββάτων მრ. 16, 2, n. 20, 1...) კონტექსტში ებრაულ სინამდვილეს ასახავს, კვირის პირველ სამუშაო დღეს, ანუ ორშაბათს.²

შაბათი ებრაულიდან მომდინარეობს, ის ადრევეა ნასესხები და საყრდენია კვირის 5 დღის სახელწოდებისათვის (ერთშაბათი, ორშაბათი...), ორი დღის სახელწოდებად კი ბერძნულიდან ნასესხები პარასკევი და კვირა დარჩა (ამ უკანასკნელმა „ერთ-შაბათი“ შეცვალა).

ძველ საბერძნეთში წელი იწყებოდა ივლისით (ახალი მთვარის დანყებიდან). თვეების სახელები იყო:

- Ἑκατομβαιῶν ჰეკატომბაიონი (ივლისი – აგვისტო)
- Μεταγειτωνίων მეტაგეიტნიონი (აგვისტო – სექტემბერი)
- Βοηδρομιῶν ბოედრომიონი (სექტემბერი – ოქტომბერი)
- Πυαισιῶν პიანოფსიონი (ოქტომბერი – ნოემბერი)
- Μαιμακτιῶν მაიმაკტიერიონი (ნოემბერი – დეკემბერი)
- Ποσειδεῶν პოსეიდეონი (დეკემბერი – იანვარი)
- Γαμηλιῶν გამელიონი (იანვარი – თებერვალი)
- Ἀνθεστηριῶν ანთესტიერიონი (თებერვალი – მარტი)
- Ἐλαφιοβιῶν ელაფებოლიონი (მარტი – აპრილი)
- Μουσιχῶν მუნიქიონი (აპრილი – მაისი)
- Θαργηλιῶν თარგელიონი (მაისი – ივნისი)
- Σκιοφοριῶν სკიროფორიონი (ივნისი – ივლისი)

ფულის, ზომა-წონისა და სიგრძის ერთეულები

სანამ მონეტის მოჭრას დაიწყებდნენ, ბერძნებს წონის ერთეულად ჰქონდათ **ტალანტი** (τάλαντον) – ყველაზე დიდი და **ობოლოსი**, **ობოლი** (ὀβολός) – ყველაზე

¹ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ. 1928, გვ. 168.

² კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, 1998, გვ. 151.

მცირე. ერთი ტალანტი დაახლოებით 27 კგ. იწონიდა, ერთი ობოლი (ობოლოსი) – 0,7 გრამს.

მონეტების შემოღების შემდეგ უკვე დრაქმა (δραχμή) გახდა ძირითადი მონეტა და წონის ძირითადი ერთეული. იგი დაახლოებით ოთხ-ნახევარ კილოს იწონიდა. იმ პერიოდში მნა (μνα) 440 გრამამდე იწონიდა. ქართულში მნა ბერძნულიდანაა შემოსული. იგი იყო ოქროს ან ვერცხლის ფულის ერთეული (მონეტა), უდრიდა 100 დრაქმას ან 25 სტატირს.

საწყაოს ერთეულების უცხოენოვან სახელწოდებათა დიდი ნაწილი ძველ ქართულში უთარგმნელად არის გადმოსული არსებითად ბერძნული წყაროდან.

აღსანიშნავია, რომ ძველ საქართველოში იცნობდნენ ეპიფანე კვიპრელის ტრაქტატს „საზომთათეს და საწყაულთა“, რომელშიც ლაპარაკია ბიბლიის შემადგენელ ნაწილებსა და მასში ნახსენებ საწყაო-საზომებზე. ამ თხზულების ქართული თარგმანის ნაწილი დაუცავს „შატბერდის კრებულს“. იქ ნახსენებია σίκλος, როგორც წონის ერთეული ვერცხლის (ან ოქროს) ფულისა. ქართულ თარგმანში ბერძნული წყაროდანაა გადმოსული აგრეთვე სიკლა (= სიკილას): „და სასწორი – ოცდახუთი ობოლი, ათხუთმეტი სიკლაი და მნაი იგი იყავნ თქუენი“.

სიკილა და სატირი (ე. ი. სტატირი) სინონიმებია და ლირებულებით დიდრაქმას ანუ დრაქმა-ნახევარს უდრის. დრაქმა ქართულში დრამას სახითაცაა გამარტივებული და აღნიშნავდა 3,5 გრამს (ვერცხლის ფულს ან წონის ერთეულს).

მნა, როგორც ფულის ერთეული, გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის ქართულ ვერსიებში: „სასწორი – ოცდახუთი ობოლი, ათხუთმეტი სიკლაი, მნაი – მისცა მათ ათი მნაი“ (ლუკა, 19, 13). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოქრო-ვერცხლის აღმნიშვნელია ბერძნული μμσσσμσ. მას ბიბლიაში გადატანითი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს ანგარებას.¹

მონეტის შემოღებასთან დაკავშირებული ფულის სისტემა ძვ.წ. VII საუკუნეში მცირე აზიის ბერძნულ პოლისებში უნდა წარმოქმნილიყო. სახელდობრ, ეფესოში მდებარე არტემისის ტაძრის ბაზისში აღმოჩენილია უძველესი მონეტები, რომლებიც დასავლეთ ანატოლიაში დაახლოებით ძვ.წ. 600 წელს უნდა დამზადდებინათ. ლითონის მონეტა ბერძნულ სამყაროში მეტალის წონის შესაბამის ლირებულებას შეიცავდა და მოჭრილი ფული მთელს ელინურ სამყაროში გამოიყენებოდა.

ძველ საბერძნეთში მონეტაზე მითოლოგიური სცენებიც კი იყო გამოხატული. ათენში მოჭრილ მონეტაზე ერთ მხარეს ათენა – ათენის მფარველი ღვთაება იყო გამოხატული, მეორე მხარეს მისი წმინდა ფრინველი – ბუ (ჭოტი).

ბერძნული მედიმნოსი (ხორბლის ჭურჭელი) μένεισος – დაახლოებით 53 ლიტრის მოცულობის ერთეული იყო, ხოლო ამფორა – ἀμφορέας – 27 ლიტრისა.

¹ კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, 1998, გვ. 158.

ბერძნებმა პირველებმა შემოიღეს სიგრძის საზომი ერთეულები. მაგ: სტადიონი – ὀτάδιον – დაახლოებით 179 მეტრი იყო.

βήμα – ბიჯი (რომაული passus) ასევე დაახლოებით 1, 50 მ.

παις – ფუტი, ტერფი (რომაული pes) დაახლოებით 30 სმ.

πῆχυς – წყრთა (იდაყვი) დაახლოებით 45 სმ.

δάκτυλος – გოჯი (იგივე დიუმი) – 1, 90 სმ.

ბერძნული მეტრიკა (ლექსთწყობა)

მეტრიკა არის მოძღვრება ლექსთწყობის, სალექსო საზომების შესახებ (τὸ μέτρον „საზომი“). ბერძნული ლექსთწყობა მეტრული ლექსთწყობაა. იგი დამყარებულია მარცვალთა სიგრძე-სიმოკლეზე (კვანტიტეტზე). ძველ ბერძნულ ლექსში რიტმს ქმნის არა მარცვალთა რაოდენობა, არამედ გრძელ და მოკლე მარცვალთა გარკვეული თანმიმდევრობა. ჰომეროსის პოემების ტაეპები, მაგალითად, შეიძლება იყოს 17, 16, 15, 14 ან 13 მარცვლიანი, მაგრამ ყველა ტაეპში ერთნაირია ე. წ. მორების რაოდენობა. მორა (μοῖρα) ეწოდება დროის იმ მონაკვეთს, რომელიც მოკლე ხმოვნის წარმოთქმას სჭირდება. მორების რაოდენობას გრძელი და მოკლე მარცვლები ქმნიან. გრძელი მარცვალი (-) ორი μοῖρα-ს შემცველია, მოკლე (-) კი - ერთისა. ბერძნული ლექსი რომ წავიკითხოთ, უნდა შეგვეძლოს გრძელი და მოკლე მარცვლების ერთმანეთისაგან გარჩევა. მორათა შეერთება ერთი რიტმული (მეტრული) ხმის ამაღლებისა (ე. წ. არსისის) და დაწევის (ე. ი. თესისის) მონაცვლეობით ქმნის იმ რიტმულ-მელოდიკურ ერთეულს, რომელსაც ლექსთწყობაში ტერფს (მუსიკაში - ტაქტს) უწოდებენ. ტერფთა რიტმულ-მელოდიკური ერთიანობა იძლევა სალექსო სტრიქონს - ტაეპს.¹

ტერფი შეიძლება იყოს ორმარცვლიანი, სამმარცვლიანი და ოთხმარცვლიანი. ბერძნულ ლექსთწყობაში ყველაზე გავრცელებული იყო შემდეგნაირი ტერფები: - - ქორე, - იამბი, - - დაქტილი, - - სპონდე, - ანაპესტი; ასევე: ტრიბრაქი (- - -), ამფიბრაქი (- -).

ქორე სამმორიანი ტერფია, იამბი და ტრიბრაქი სამმორიანი ტერფებია, ხოლო დაქტილი, სპონდე და ანაპესტი - ოთხმორიანი ტერფები.

დაქტილური ჰექსამეტრი. ბერძნული ეპიკური ძეგლები (ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“, ჰესიოდეს პოემები) იმ საზომითაა შექმნილი, რომელსაც დაქტილური ჰექსამეტრი ეწოდება. ეს არის ექვსი ტერფის შემცველი ტაეპი (ἕξ ექვსი, τὸ μέτρον ზომა). ასეთ ტაეპში ხუთი ტერფი დაქტილურია, მეექვსე კი კატალე-

¹ ა. ურუშაძე, ბერძნული ენის ისტორიის საკითხი, საისტორიო-ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ., 1980, გვ. 318.

კტიკური (შეკვეცილია) და ყოველთვის ორი მარცვლისაგან შედგება (ან ქორეს (-) ან სპონდეს (- -) წარმოგვიდგენს).

დაქტილური ჰექსამეტრის სქემაა:

‘- / ‘- / ‘- / ‘- / ‘- / ‘=

რადგან ყოველი გრძელი მარცვალი მუსიკალური ოდენობით ორ მოკლე მარცვლას უდრის, დაქტილურ ჰექსამეტრში დაქტილური ტერფი შეიძლება შეიცვალოს სპონდეთი. ეს შენაცვლება შეიძლება მოხდეს ყველა მუხლში (იშვიათად მეხუთეში). დაქტილის შეცვლა სპონდეთი შეიძლება ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მუხლში – ორ, სამ და ოთხ მუხლშიც: უკანასკნელი მუხლიც, როგორც ითქვა, შეიძლება იყოს სპონდე.

მარტო სპონდეური ტერფებით გამართული ჰექსამეტრი ძალზე იშვიათია; უფრო ხშირია წმინდა დაქტილური ტერფებით გამართული ტაეპი.

დაქტილების სიუხვე ლექსს დინამიკურს ხდის; სპონდეური ტერფებით დატირთული ტაეპი ჩვეულებრივ დაძაბულ სულიერ მდგომარეობას გადმოგვცემს.

დაქტილური ჰექსამეტრი ორ ნახევარ ტაეპად განიყოფება შესვენებით, ე. წ. ცეზურით – „განკვეთით“ (caesura). ჰექსამეტრში ორი მთავარი ცეზურაა: 1. პენტემიმერესი – „ხუთი ნახევარტერფის შემდეგ“ (τομή πεντημετρίας), ე. ი. მესამე ტერფის გრძელი ნახევრის (არსისის) შემდეგ ვაჟური ცეზურაა; 2. ტროქეული ცეზურა (κατὰ τρίτοις τροχαίου – მესამე ტერფის პირველი მოკლე მარცვლის შემდეგ – ქალური ცეზურაა. ცეზურის ნიშანი ასეთია //.

ჰექსამეტრის კითხვის დროს ტერფის პირველ (გრძელ) ნახევარზე ხმა უნდა ავამალლოთ (დაქტილურ ტერფში ‘- -, სპონდეურში ‘ -), ე. ი. ექვსჯერ უნდა ვიხმაროთ მეტრული მახვილი (არსისი). ტერფების შეუცდომლად გამოყოფისათვის უნდა გვახსოვდეს კვანტიტეტის (ხმოვნის რაოდენობის) კანონი:

1. მარცვალი გრძელია წარმომავლობით, თუ გრძელ ხმოვანს შეიცავს. გრძელი ხმოვნებია: η, α, αι, ει, αυ, ευ, ης, οι, ου. ზოგჯერ – α, ι, υ, ს, φ, η, ψ.

შენიშვნა: α, οι დიფთონგები ლექსში გრძელია იქაც, სადაც მახვილისათვის მოკლედ ითვლება. მაგ.: მრ. რიცხვის ნომინატივისა და ვოკატივიში.

2. მარცვალი მოკლეა, თუ მოკლე ხმოვანს შეიცავს.

შენიშვნა: მოკლე მარცვალი ჰექსამეტრში გრძლად მიიჩნევა:

1. თუ მარცვლის მოკლე ხმოვანს მოსდევს ორი ან მეტი თანხმოვანი ან რომელიმე რთული თანხმოვანი (ζ, ξ, ψ).

2. თუ მარცვლის მოკლე ხმოვანს, რომლითაც სიტყვა მთავრდება, მოსდევს ხმოვნით დაწყებული ისეთი სიტყვა, რომელსაც დასაწყისში ან სიტყვის შუაში ორი თანხმოვანი დაუკარგავს.

3. თუ მარცვლის მოკლე ხმოვანს, რომელსაც თანხმოვანი ახლავს, მოსდევს სიტყვა, რომელიც F-ით (დიგამით) იწყებოდა.

4. თუ მოკლე მარცვალს არსისში ცეზურა მოუდის.

შენიშვნა: გრძელი მარცვალი ჰექსამეტრში მოკლედ ითვლება:

1. თუ თვისში (ტიერფის მეორე ნახევარში) გრძელ და ღია მარცვალს, რომლითაც სიტყვა მთავრდება, ხმოვნით დაწყებული სიტყვა მოსდევს ("Αἰὼνα μοῖ ἐλισσα... ასევე: πλάγῃθι ἔπει...").

2. თუ გრძელი მარცვლის ხმოვანს სიტყვის შიგნით უშუალოდ ხმოვანი მოსდევს. არის ნებსებიდან გადახვევებიც.

ელიზია. თუ სიტყვა ბოლოვდება ხმოვნით და მომდევნო სიტყვა იწყება ხმოვნითვე და ამ ხმოვნის წინ დიგამმა არ იგულისხმება, წინამდებარე სიტყვის ბოლოკიდური ხმოვანი ტაეპში მოიკეცება. ე. ი. მოხდება ელიზია (elision „ამოგდება“). მისი ნიშანია აპოსტროფი ('). ჰექსამეტრში ელიზიას განიცდიან მოკლე ხმოვნები α. ε. ο და ზოგჯერ ι. ელიზია არ მოუდით υ და ι ხმოვნებს სიტყვებში: παρί, τί, τῖ, ὄτι. დიფთონგებიდან ელიზიას განიცდიან αι – ზმნის დაბოლოებებში (-μαί, -ται, -ῖται, -σμαι) და – αι ნაცვალსახელებში – μοί და σοί (τοί).

შენიშვნა: ხშირია აგრეთვე ტაეპში სინიძესისი ანუ ორი ხმოვნის შერწყმა გამოთქმის დროს (δὴ ἀντε – δαντε).

დაქტილური ჰექსამეტრის ნიმუში:

ἄνδρα μοῖ / ἔλισσαε / μοῖσα // πρ / λῆρσθω / ὧς μάλα / πᾶλλᾶ

დაქტილური ჰექსამეტრის საწყისების კვლევამ მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ დაქტილური ჰექსამეტრი არ არის ორიგინალური ბერძნული სალექსო ზომა.¹ იგი არც ინდოევროპული წარმოშობისაა. როგორც ცნობილია, ელინური კულტურის დასაბამი იყო დიდი და უძველესი კულტურა წინაბერძნული მოსახლეობისა, რომელსაც მცირეაზიული და კავკასიური წარმომავლობის ტომებთან ანათესავებენ. პროფ. პ. ბერაძემ (თბ., 1949) წარმოადგინა ბერძნული დაქტილური ჰექსამეტრისა და უძველესი ქართული ლექსის პარალელური შესწავლის შედეგები და დაასკვნა, რომ დაქტილური რიტმი ქართული რიტმია და ჰექსამეტრის უძველესი სახე ქართულ ლექსთწყობაში (აგრეთვე სიმღერებსა და ქორეოგრაფიაში) არის საგულევბელი.

¹ იხ. აკ. ურუშაძე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები, თბ., 1980, გვ. 28; აკ. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1987, გვ. 320.

ელეგიური დისტიქი. ბერძნულ ლირიკაში პოპულარული იყო ორი ტაეპი-საგან შედგენილი სტროფი, რომელშიც პირველი დაქტილური ჰექსამეტრია, მეორე კი – დაქტილური პენტამეტრი. **დაქტილური პენტამეტრი**, რომელიც ჰექსამეტრის სახეცვლილებაა, ისეთი ტაეპია, რომელიც ექვსი დაქტილური ტერფი-საგან შედგება, მაგრამ მესამე და მეექვსე ტერფები შეკვეცილია და თითო გრძელ მარცვალს შეიცავს. ამგვარად, პენტამეტრი ორ ნაწილად იყოფა, თითოში ორ-ნახევარი დაქტილური ტერფია, ე. ი. სულ ხუთი. ამიტომ ეწოდება ასეთ ტაეპს პენტამეტრი. მასში ცეზურა მესამე ტერფის შემდეგაა. დაქტილური ტერფების შეცვლა სპონდებით მხოლოდ პირველ ნახევარში ხდება. ელეგიური დისტიქის სქემაა:

– / – / – / – / – / – ჰექსამეტრი

– / – / – // – / – / – პენტამეტრი

იამბიკური ტრიმეტრი. ეს სამი წყვილი იამბისაგან (–) შემდგარი ტაეპია. მისი სქემაა:

– / – / – / –

იამბური ტერფი ტაეპში შეიძლება შეიცვალოს სპონდეთი (–), ტრიბრაქით (–); სპონდეს საფუძველზე შეიძლება განვითარდეს დაქტილი (–) და ანაპესტიც (–). სქემა ასეთია:

– – / – – / – –

ტროქეული ტეტრამეტრი. ეს ისეთი ტაეპია, რომელიც ოთხ წყვილ ქორეს (ტროქეს) შეიცავს, ე. ი. სულ რვა ქორეს (–). სქემა ასეთია:

– – / – – / – – / – –

საფოური სტროფი. ეს ბერძენი პოეტი ქალის – საფოს (VII-VI ს. ძვ.წ.) მიერ შექმნილი სტროფია. იგი შედგება ოთხი ტაეპისგან. პირველი სამი ტაეპი თერთმეტმარცვლიანია (ჰენდექასილაბა), მეოთხე კი – ხუთმარცვლიანი.

საფოური სტროფის სქემაა:

– – – – –

– – – – –

– – – – –

– –

’Ιλιάδος Α

Μῆνιν ἄειδε, θεά, Πηληϊάδεω Ἀχιλῆος,
οὐλομένην, ἣ μυρ’ Ἀχαιοῖς ἄλγε’ ἔθηκεν,
πολλὰς δ’ ἰφθίμους ψυχὰς Ἄϊδι προΐαψεν
ἡρώων, αὐτοὺς δὲ ἑλώρια τεύχε κύνεσσιν
οἰωνοῖσι τε πᾶσι Ἑὐρῆος Διὸς δ’ ἔτελείετο βουλή –
ἐξ οὗ δὴ τὰ πρῶτα διαστήτην ἐρίσαντε
Ἄτρεΐδης τε, ἄναξ ἀνδρῶν, καὶ δῖος Ἀχιλλεύς.

Յլատրոն

ընտրոյցըն (ընտրոյցըն)

1. Ἀστέρας εἰσαθρεῖς, Ἀστήρ ἐμός εἶθε γενοίμην
οὐρανός, ὡς πολλοῖς ὄμμασιν εἰς βλέπω.
2. Ἀστήρ πρὶν μὲν ἔλαμπες ἐν ζῶοισιν Ἐῶος,
νῦν δὲ θανῶν λάμπεις Ἑσπερος ἐν φθιμένοις.
3. Ἐννέα τὰς Μούσας φασὶν τινες, ὡς ὀλιγῶρος.
ἦν ἰδέ· καὶ Σαπφῶ Λεσβόθεν, ἡ δεκάτη.
4. Ἄ Κύπρις, τὰν Κύπριν ἐν Κνίδῳ εἶπεν ἰδοῦσα·
"φεῦ, φεῦ, ποῦ γυμνὴν εἶδέ με Πραξιτέλης;"

Ետը

Յոթըն յտրոյցըն

ποικιλόθρον, ἀθάνατ’ Ἀφρόδιτα,
παῖ Διός, δολόπλοκε, λίσσομαί σε
μή μ’ ἄσαισι μήτ’ ὀνίαισι δάμνα,

πότνια θῦμον·

გამომცემლობის რედაქტორი ცირა ჯიშკარიანი
გარეკანის დიზაინი თინათინ ჩირინაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა ნინო ვაჩეიშვილი

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995(32) 25 14 32
www.press.tsu.ge